გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
სოციალური მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტი
მარიამ ხიჩიკაშვილი

„შვილად აყვანის აქტულური საკითხები და მათი სამართლებრივი რეგულაცია“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლია ჭიღლაშვილი პროფესორი

გორი
2021

ანოტაცია

საქართველოში შვილად აყვანა საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობას განეკუთვნება, საკანონმდებლო დონეზე კი საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.
მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ერთ–ერთ პრიორიტეტულ საკითხად მშობლის მზრუნველობა მოკლებული ბავშვების უფლებების დაცვა და მათი ოჯახში განთავსებაა, რაც ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. შვილად აყვანის ინსტიტუტი იმ საოჯახო-სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს შვილად აყვანის წესსა და პირობებს, რომელსაც დაემატა შედარებით ახალი ინსტიტუტი მინდობით აღზრდა, მიღებულ იქნა ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც შვილად აყვანასთან ერთად ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახში ინტეგრირების კიდევ ერთ ფორმას - მინდობით აღზრდას.
გაფართოვდა მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შვილად აყვანის მსურველი პირი, დაწესდა დამატებითი მოთხოვნები გასაშვილებელი და შვილად ამყვანი პირებისათვის, შეიცვალა მათი აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესები. საყურადღებოა ქართული საკანონმდებლო მასალის და საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი, რომელიც კარგად წარმოაჩენს იმ ხარვეზებს, რაც გააჩნია შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივ ასპექტებს. შესაბამისად ნაშრომში განხილულია ამ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის ცნების, სამართლებრივი ბუნების, წარმოშობის, განვითარებისა და არსებული პრობლემური საკითხების კვლევისა და გამოსწორების გზები.
შვილად აყვანის პროცესში იკვეთება სახელმწიფოს მონაწილეობის სფეროს გაზრდის ტენდენცია. აღნიშნული ამძაფრებს იმ კითხვების აქტუალობას, თუ რით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი შვილად აყვანის კონფიდენციალურობის დაცვის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისას, ასევე შვილად აყვანის შეწყვეტის ფორმების გაუქმების და ბათილობის გაიგივეობისას.
საყურადღებოა ქართული საკანონმდებლო მასალის და საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი, რომელიც კარგად წარმოაჩენს იმ ხარვეზებს, რაც გააჩნია ამ კუთხით შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივ ასპექტებს. შესაბამისად ნაშრომში განხილულია საოჯახო- სამართლებრივი ურთიერთობის ცნების, სამართლებრივი ბუნების, წარმოშობის, განვითარებისა და არსებული პრობლემური საკითხების კვლევისა და შესაძლო ცვლილებების გზები.

annotation

Adoption in Georgia is a family legal relationship, and at the legislative level, this issue is regulated by the Civil Code of Georgia and the Law of Georgia on Adoption And upbringing in foster families. In almost all countries of the world, including Georgia, one of the priority issues is the protection of the rights of children deprived of parental care and their integration into the family, which is a constitutional right in our country. The Institute of Adoption is a set of family law norms governing the rules and conditions of adoption. to which a relatively new institution of foster care was added. In foster care, the requirements for a person wishing to adopt a child have been expanded, additional requirements have been established for adopted persons, and the rules for their registration have been changed.

It is necessary to pay attention to the analysis of the legislative material and legislative practice of Georgia, which clearly shows the shortcomings of the legal aspects of adoption and foster care in this regard. Accordingly, the article discusses the concept of family legal relations, the legal nature, origin, development and methods of research and correction of existing problematic issues in the process of adoption. The above enhances the relevance of what the legislator was guided by when developing the rules governing the protection of confidentiality of adoption, as well as the abolition of the forms of termination of adoption and equalization of invalidity.

A thorough analysis of the legislative material and legislative practice of Georgia, which well illustrates the shortcomings of the legal aspects of adoption and foster care in this regard. Accordingly, the article discusses the concepts of this family - interaction, nature, production, development and other problematic issues that need to be investigated and how to fix them. Adoption is a widespread practice in the modern world. As long as children are members of a protected community, adoption is an expression of a kind of humanity. Realization and protection of the rights of the child is the primary task of any developed state.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ტიტულის გვერდი

შესავალი……...……6-8

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი…….....……..8

თავი I. შვილად აყვანის ცნება ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში

1.1. შვილად აყვანის ცნება…….....…...9-16

1.2. შვილად აყვანის ინსტიტუტი საქართველოში და მისი სამართლებრივი რეგულირება…….....16-22

1.3. მინდობით აღზრდის არსი და სამართლებრივი თავისებურებანი.....22-33

თავი II. გაშვილების ფსიქო-სოციალური ასპექტები

2.1. მშობლების, მშვილებლებისა და ნაშვილების უფლება-მოვალეობები.....33-36

2.2. მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მდგომარეობა ფსიქო-სოციალური ასპექტები, საქართველოს მაგალითზე.....36-39

2.3. საკანონმდებლო ხარვეზები შვილად აყვანის პროცესში და მათი აღმოფხვრის გზები…….....39-41

თავი III. საერთაშორისო შვილება - გაშვილება

3.1. საერთაშორისო გაშვილება და მათი შემდგომი კონტროლი…….....41-46

3.2. შვილად აყვანის საკითხები სხვა ქვეყნის მაგალითზე…….....46-49

თავი IV. შვილად აყვანის წესი თანამედროვე ქართულ სამართალში

4.1. გადაწყვეტილების რეგისტრაცია…….....49-53

4.2. შვილად აყვანის შეწყვეტა, ბათილობის სამართლებრივი საფუძვლები.....53-54

4.3. საქართველოში შვილად აყვანის მსურველთა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.....54-56

თავი V. კვლევის შედეგები

დასკვნა და რეკომენდაციები…….....56-57

ბიბლიოგრაფია…….....57-60

შესავალი

სიყვარული, სიკეთე და თანაგრძნობა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ღირებულებებია, რაც ძირითადი მამოძრავებელი პრინციპებია ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად. შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირება, როგორც ბავშვის ოჯახში ცხოვრებისა და აღზრდის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმა, წარმოადგენს ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

საკითხის აქტუალობა განაპირობა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, კერძოდ, საქართველოში შვილად აყვანის ფაქტი ყოველთვის პრობლემატური იყო. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად მართებულია, რადგან ის ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ შვილად აყვანის საკითხებს ხშირ შემთხვევაში ეყრდნობიან მხოლოდ არსებულ დოკუმენტაციას, რომლითაც ბავშვის ინტერესები არ არის გათვალისწინებული. პრობლემის არსს კი წარმოადგენს შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შვილად აყვანის კონფიდენციალურობის დაცვისა და მისი ალტერნატიული ფორმის — ღია შვილად აყვანის საქართველოს სინამდვილეში დამკვიდრების შესაძლებლობის გამოკვლევას. ასევე, უნდა გავიაზროთ თუ რამდენად ეფექტურად იმოქმედებს შვილად აყვანის გაუქმების ერთადერთი შესაძლებლობის - მისი ბათილად ცნობის დამკვიდრება და რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული ცვლილება შვილად აყვანის შეუქცევად სამართლებრივ ურთიერთობად ჩამოყალიბებას.

შვილად აყვანის/გაშვილების საკითხები არამარტო სამოქალაქო სამართლებრივი საკითხებია, არამედ თავის თავში მოიცავს მორალურ და სოციალურ საკითხებსაც, საკვლევი თემის ირგვლივ არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა საკითხის დეტალურად განხილვა, თუმა შევეცადეთ ნაშრომში გადმოგვეცა ის ძირითადი საკითხები, რაც შვილად აყვანის პროცესის ირგვლივ არსებული პრობლემების აღმოფხვრას უკავშირდება.

საკვლევი თემის მიზანი - მკითხველმა გაიაზროს რეალური საჭიროება იმისა, რომ შვილად აყვანა რთული პროცესის გარეშეც შესაძლებელია, რადგან გასათვალისწინებელია ბავშის სურვილი, და იგი სრულიად მორგებული უნდა იყოს სამართლებრივ რეგულაციაზე, და ასევე მიმართული უნდა იყოს ბავშვის სამართლიანი სერვისის დამკვიდრებაზე.

1. კვლევის მიზანია ნაშრომის თემასთან არსებული კანონმდებლობის შესწავლა.

2. შვილად აყვანის რეგულირება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
რას გულისხმობს შვილების ცნება, როგორია აღნიშნული სამართლებრივი პროცესუალური ეტაპები.

3. შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებები.

კვლევის ამოცანები - შვილად აყვანასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტებისა და შიდა კანონმდებლობის შესწავლა. შვილად აყვანასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლა-ანალიზი.

ჰიპოთეზა-საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ბავშვის შვილად აყვანას, რაც ხელს უშლის შვილად აყვანის წახალისებას ქვეყანაში.
საქართველოში, შვილად აყვანის შემდგომი კონტროლის მექანიზმების არარსებობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გაშვილებული ბავშვის ინტერესების დაცვას.

კვლევის საგანი- დასახული საკითხების გადაჭრის მიზნით სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია როგორც შვილად აყვანის თავისებურებები, ისე შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემთხვევები, საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება არასრულწლოვანი ბავშვების პირადი არაქონებრივი და ქონებრივი გამოკვლევის კომპლექსური უფლების დაცვასთან დაკავშირებით.
კვლევის საგანი მოითხოვს საერთაშორისო კანონმდებლობის შესწავლასა და მის ეროვნულ ჭრილში განხილვას. ნაშრომში შემუშავებულია და გამოყენებულია მოქმედი და ძველი ქართული კანონმდებლობის წყაროები.
ამასთან, სავალდებულოა არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა შვილად აყვანის ბათილად ცნობასა და შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მარეგულირებელ ნორმებს შორის.

კვლევის მეთოდები- კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, თეორიული დებულებები შვილად აყვანის საკითხთან დაკავშირებით. საკითხების შესწავლა და გადმოცემა ხდება ისტორიულ, შედარებით-სამართლებრივი, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და მათი ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში განხილულია, ასევე შვილად აყვანის ინსტიტუტის განვითარების პროცესი და გაანალიზებულია კანონმდებლობა. ნაშრომში აღიარებულია ადამიანის და თითოეული ბავშვის პიროვნების სიცოცხლის აბსოლუტური და განუხრელი უფლება, მიუხედავად მათი ქცევისა და თვისებებისა. ნაშრომში მოცემულ დასკვნას საფუძვლად უდევს მეცნიერული კონცეფციების, მოქმედი კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის ანალიზი.

ასევე მოხდა სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტის, სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" შედარებითი კვლევა, საერთაშორისო ხასიათის ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის.
მოვახდინეთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ანალიზი შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის განვიხილეთ კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ", ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სხვა საერთაშორისო სფეროში თანამშრომლობის შესახებ" და აქტები.

კვლევის სამეცნიერო სიახლე - ნაშრომში გადმოცემულია პრინციპულად ახალი მოსაზრებები არასრულწლოვან პირთა შვილად აყვანის სფეროში არსებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.
ზემოაღნიშნული საკითხები შესაძლებლობას იძლევა ჩამოყალიბდეს რიგი სამეცნიერო იდეები, წინადადებები, რომლებიც მიმართული იქნება ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების პრიორიტეტული დაცვისაკენ, ასევე, სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების ძალისხმევის გაზრდისაკენ, იმისათვის რომ გამოვლენილი და საზოგადოებაში ინტეგრირებული იყვნენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები.

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი (აბრევიატურები):

მაგ. მაგალითად
გამომც. გამომცემლობა
გვ. გვერდი
იხ. იხილეთ
სსკ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
ქსმ. ქართული სამართლის მიხედვით
ე.წ. ეგრეთ წოდებული
ჯდკ. ჯანმრთელობის დაცვის კანონი

თავი I. შვილად აყვანის ცნება ძველ ქართული და თანამედროვე სამართალში

1.1. შვილად აყვანის ცნება

ოჯახი, ადამიანთა ერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფორმაა. ეს ის მოკროსამყაროა, რომელშიც იზრდება და ყალიბდება პიროვნება საზოგადოების წევრად. ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვის აღზრდის ფუნქციას. სწორედ ამიტომ, ბავშვის ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო და არის ქართული სამართლის განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

შვილად აყვანა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა თანამედროვე სამყაროში, რამდენადაც ბავშვები საზოგადოების წევრები არიან, შვილად აყვანა ეს არის ერთგვარი ჰუმანურობის გამოხატულება. ბავშვის უფლებების რეალიზება და დაცვა ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს პირველადი ამოცანაა.

შვილება ძველ ქართულ საოჯახო სამართალში ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენდა. ეს უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ მას დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინტერესების დაცვა და ბავშვებისთვის ცხოვრების იმავე პირობების შექმნა, რაც მათ ექნებოდათ მშობლიურ გარემოში, ოჯახში ცხოვრებისას, ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ამოცანას.

შვილად აყვანა ქართული სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი, თუმცა ამ ინსტიტუტის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. იგი ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც იყო ანდერძის ინსტიტუტი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში შემონახული კანონმდებლობის დადგენილება შვილებული სიძის შესახებ ანდერძის თავისუფლების სუროგატს წარმოადგენდა. თუ სიძე სიმამრის სახლში ოფიციალურად იქნებოდა შესული, იგი ღვიძლი შვილის უფლებებით სარგებლობდა და თავისი სიმამრის უძრავი ქონების – მამულის მემკვიდრედაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღიარებული, რაც მფლობელობის გასხვისების აკრძალვის პირობებში ფაქტობრივი განკარგვის საშუალება იყო. ნათელია, რომ ფეოდალურ საქართველოში ანდერძით სიძის შვილებაც იყო შესაძლებელი.[1]

აღნიშნული პერიოდში საქართველოში შვილად აყვანის ინსტიტუტი ისე გავრცელებული იყო, რომ დოკუმენტის სპეციალური სახეობაც კი შექმნილა, რომელსაც "ნაშვილობის წიგნი", ანუ სიგელი ეწოდებოდა და რასაც ხშირად მეფე ამტკიცებდა.

[1] ელიქიშვილი დ. 1983. შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა. საბჭოთა სამართალი (3)

აღსანიშნავია, რომ შვილად ამყვანი (მშობელი) შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირიც. აღნიშნული სახით საქართველოში შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობები არსებობდნენ ფეოდალური წყობილების დასრულებამდე, ვიდრე არ დამყარდებოდა სრულიად ახალი წყობა-სოციალისტური საზოგადოების სახით, რომელსაც შესაბამისად გააჩნდა თავისი სამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ და, მათ შორის, საოჯახო სამართალში არსებული, შვილად აყვანის ინსტიტუტის მიმართაც.

შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირების ნორმებს საბჭოთა საოჯახო სამართალშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შვილად აყვანის ინსტიტუტის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვებს, რომელთაც არ ჰყავდათ მშობლები ანდა მოკლებული იყვნენ განსაზღვრული მიზეზით მშობლიურ მზურნველობას, ენიჭებოდათ ის, რასაც შვილებისთვის საბჭოთა ოჯახი აძლევდა . საბჭოთა კანონმდებლობით დაშვებული იყო მხოლოდ მცირეწლოვნისა და არასრულწლოვნის შვილად აყვანა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მშობლიური ვალდებულება შვილების მიმართ ძირითადად სრულწლოვანების მიღწევამდე გრძელდებოდა. საბჭოთა სამართლის ასეთი მიდგომა თავის თავში უკვე გამორიცხავდა სრულწლოვანი პირის შვილების შესაძლებლობას და ამ მხრივ იზღუდებოდა სრულწლოვნის უფლებებიც. შვილად აყვანისთვის აუცილებელი იყო არამარტო ის, რომ შვილად ასაყვანი არასრულწლოვანი ყოფილიყო, არამედ შვილება ბავშვის ინტერესების სასარგებლოდაც უნდა მომხდარიყო.[2]

არ შეიძლებოდა ათი წლის ასაკამდე მიღწეული ბავშვის შვილად აყვანა, მისთვის გვარისა და მამის სახელის მიცემა შვილად ამყვანის სახელის მიხედვით, აგრეთვე შვილად ამყვანთა ჩაწერა შვილად აყვანილის მშობლებად, უკეთუ არ იქნებოდა შვილად ასაყვანის თანხმობა. ამასთან, რამდენიმე პირის შვილება დაიშვებოდა . დროთა განმავლობაში იცვლებოდა კანონმდებლობაც. თუმცა მისი ამოსავალი წერტილი მაინც ბავშვის ინტერესები იყო. სწორედ ამ თვალსაზრისით, 1943 წლის 8 სექტემბერს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება "შვილად აყვანის შესახებ", რომელმაც მშვილებელი არა მხოლოდ ფაქტობრივად გაათანაბრა ღვიძლ მშობელთან, არამედ საშუალება მისცა მას, აღნიშნული ფაქტის რეგისტრაციის დროს ღვიძლ მშობლად ჩაწერილიყო, რაც გარკვეულწილად თვით ნაშვილების მიმართ უხერხულობასაც ხსნიდა. ასეთი ფორმა არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.[3] შემდგომ პერიოდში, საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ შვილად აყვანის ინსტიტუტი მოითხოვდა შემდგომ განვითარებასა და დახვეწას, რაც მიღწეულ იქნა საქართველოში 1970 წლის 18 ივნისს "საქორწინო და საოჯახო" კოდექსების მიღებით. კანონმდებლობის შემდგომი განვითარება მიჰყვებოდა და დღესაც მიჰყვება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და შვილად აყვანის

[2] ნადარეიშვილი გ. 1996. ძველი ქართული საოჯახო სამართალი. თბილისი: სამთავისი

[3] ჩიკვაშვილი შ. 2004 . საოჯახო სამართალი , თბილისი: მერიდიანი გვ 408

ურთიერთობათა სტაბილური უზრუნველყოფის გზას. მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს გაეაზრებინა რომ დიდი სახელმწიფოებრ პასუხისმგებლობას იღებდა საკუთარ თავზე ვინაიდან ვალდებული იყო მზრუნველობამოკლებული ბავშვების ინტერესების დაეცვა და ბავშვებისთვის იმავე პირობები შეექმნა, რაც მათ ექნებოდათ მშობლიურ გარემოში, ოჯახში ცხოვრებისას, რაც ყოველთვის წარმოადგენდა ქყვენისთვის მნიშვნელოვან ამოცანას.[4]

ოჯახში ერთმანეთს ერწყმის ბუნებრივ - ბიოლოგიური და მატერიალურ-ეკონომიკური საწყისები, ხოლო ტრადიციული განმარტებით, საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს[5]. მასში ძირითადად ორ კრიტერიუმზეა ყურადღება გამახვილებული. პირველი ეხება საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეებს, და მათი წრე განსაზღვრულია და მეორე - ურთიერთობათა შინაარსს. [6] სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვნად შეიცვალა შვილად აყვანის მარეგულირებელი ნორმების შემადგენლობა, შვილების წესი და ასევე ის სამართლებრივი შედეგი, რაც არეგულირებს შვილად აყვანის წესს სასამართლო წარმოების წესით. მიღებული იქნა ასევე ახალი საკანონმდებლო აქტი, რომლიც შვილებასთან ერთად ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებული ბავშვების ინტეგრირების კიდევ ერთ ფორმას- მინდობით აღზრდას. [7]

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“შესახებ კანონის ცალკე შემოღების მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდისას. შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ არასრულწლოვანი პირებისთვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნას, რომლებიც დაობლდნენ და არ აქვთ მათ მშობლებს შვილების აღზრდისა და რჩენის ჩვეულებრივი პირობები. რამდენადაც ოჯახი სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებას ასახავს, ოჯახს საფუძველი, როგორც წესი, ქორწინებით ეყრება. [8] კანონი უშვებს არა მარტო არასრულწლოვანის, არამედ სრულწლოვანის პირის შვილად აყვანასაც. ასეთი შემთხვევები გამონაკლისის სახით არსებობს მას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინაარმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია. სრულწლოვანი პირთა შვილად აყვანის შესაძლებლობა

---

[4] ნადიბაიძე ლ. 1998. შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: თსუ გვ 9

[5] file:///C:/Users/User/Desktop/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D/143-406-1-PB.pdf ;

[6] რ. შენგელია, ე. შენგელია (2017) საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი - თეორია და პრაქტიკა (მეორე გამოცემა) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. გვ. 22

[7] მ. მამულაშვილი, შვილად აყვანა (შედარებით სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 5

[8] შ. ჩიკვაშვილი. (1999) საოჯახო სამართალი - მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. გვ. 10 – 11.

მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ადრე არსებული ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობათა დაკანონებას წარმოადგენს.

შვილად აყვანა რთული სამართლებრივი პროცესია. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შვილების ძირითადი მიზანია მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის. იმისათვის, რომ დამყარებული კავშირი მაქსიმალურად დაუახლოვდეს სისხლით ნათესაობას და მისი იდენტური გახდეს, სახელმწიფოს მიერ დადგენილია მრავალი ბიუროკრატიული მოთხოვნები, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი შეცდომა და შემთხვევითობა შვილად აყვანის ფაქტის დადგომის შემდგომ.

შვილად აყვანის პროცედურა პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად. პირველი, როდესაც ხორციელდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ გასაშვილებელი ბავშვების გამოვლენის, პოტენციური მშვილებლების აღრიცხვისა და მათი თავსებადობის დადგენის მიზნით, ხოლო მეორე ეს არის სასამართლო სხდომა, რომელზეც ხდება თავად შვილად აყვანის პროცედურის დასრულება.

როგორც ვხედავთ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ შვილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა სწორედ ისეთი ურთიერთობა, როგორიც არის მშობლებსა და მათ შვილებს შორის. ვინაიდან ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა ემსახურება მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას და ნებისმიერი გადაწყვეტილება ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით უნდა ემსახურებოდეს ისეთი სტაბილური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ზრდასრულ ადამიანს, რომლებიც არ არიან ბიოლოგიური მშობლები, შეუძლიათ აიყვანონ ბავშვი სრულყოფილი ოჯახის შემქნის მიზნით.

საგულისხმოა, რომ დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, ადრე მოქმედი საქორწინო-საოჯახო კოდექსისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად ცვლის შვილად აყვანის პროცედურებთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ნორმა, რომლის თანახმადაც შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო. შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართოს, როგორც მეუღლეებმა ერთობლივი განცხადების საფუძველზე, ასევე შვილად აყვანის მსურველმა სხვა პირებმაც. [9]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მოითხოვს, რომ შვილება დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისთის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშობლებსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და ნაშვილებს შორის. კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ უპირატესად მიიჩნევს ბავშვისთვის სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, თუმცა შვილება მშვილებლის ინტერესებსაც პასუხობს,

[9] ნ. ბოკერია, შვილების (შვილად აყვანის) სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში, ჟურნალი. „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998, გვ. 22

რადგან იგი აძლევს მას მშობლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფის მიზნით, წარმოადგენს განსაზღვრული დანაშაულისთვის ნასამართლევ შვილად აყვანის უფლების შეზღუდვას, მიუხედავად მათთვის ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. გარდა, ზემოაღნიშნული პრინციპული ხასიათის სიახლეებისა, ითვალისწინებს აგრეთვე სხვა მრავალი საკვანძო საკითხის გადაწყვეტას შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში.[10]

ჯერ კიდევ შეუსწავლელ საკითხს განეკუთვნება - შვილად აყვანა: ღია თუ საიდუმლო პროცესი. ოდითგანვე შვილად აყვანის ფაქტი დაფარული იყო როგორც თავად ბავშვისათვის, ასევე სხვა ნებისმიერი პირისათვის, რამაც ასახვა ჰპოვა რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია არა მხოლოდ შვილად აყვანის შესახებ ცნობების გამოქვეყნების დაუშვებლობა, არამედ შვილების ფაქტის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის საშუალებები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მასში მონაწილე სუბიექტების, იქნება ეს მშვილებელი, ნაშვილები თუ ბიოლოგიური მშობელი, თანხმობის გარეშე აკრძალულია.

შვილად აყვანა სამართლებრივი მეცნიერების თვალსაზრისით შესაძლებელია მივაკუთვნოთ პირად ურთიერთობათა რიცხვს, ამდენად, იგი კონსტიტუციურ დონეზეა დაცული გახმაურებისაგან. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გახმაურება მშვილებლის თანხმობის გარეშე აკრძალულია, სანამ შვილად აყვანილს არ შეუსრულდება 18 წელი. სამართლებრივი მეცნიერების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თავად ნაშვილები პირის უფლება მოიპოვოს ინფორმაცია საკუთარი წარმომავლობის, კერძოდ შვილად აყვანის თაობაზე. აღნიშნული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია მის მიერ ქმედუნარიანობის შეძენაზე. თუ ნაშვილებ პირს შეუსრულდა 18 წელი, იგი იძენს უფლებას მოიძიოს შვილად აყვანის შესახებ ცნობები თავად და ასევე დაეთანხმოს სხვა პირს ასეთი ქმედების განხორციელებაზე.

თავად მშვილებლებსაც, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა, ეკრძალებათ მითითებულ ინფორმაციასთან რაიმე კავშირი და მისი ნებისმიერი სახით გამოყენება. კანონმდებელი გარკვეული სახის სამართლებრივ გარანტიებს უტოვებს გაშვილებული ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს. ბიოლოგიური მშობელი თავად წყვეტს გაახმაუროს თუ არა მის მიერ ბავშვის გაშვილების ფაქტი, გაამჟღავნოს თუ არა საკუთარი ვინაობა, ასევე ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალური მონაცემები თუ არა.

დახურული შვილად აყვანისაგან განსხვავებით, ღია შვილება ხასიათდება ბიოლოგიურ მშობლებსადა მშვილებელს შორის კონტაქტით, რამდენადაც ქორწინების გარეშე დაბადებასთან დაკავშირებული სტიგმა შესუსტდა. ღიაობის ხარისხი საკმაოდ მრავალფეროვანია, დაწყებული წელიწადში რამდენიმე ფოტოს გაცვლით შვილად

[10] http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/komitetis-saqmianoba-iuridiuli/komitetis-sxdomebi1112/sxdomis-oqmi-n1311.page ;

აყვანის სააგენტოს მეშვეობით, დასრულებული ხშირი სტუმრობითა და ინფორმაციის გაცვლით. შვილად აყვანის შემდგომ ბიოლოგიურ ოჯახსა და მშვილებლებს შორის ურთიერთობის ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვყოთ შვილად აყვანის რამდენიმე სახე.

შვილად აყვანის ძირითად და ისტორიულ სახეს წარმოადგენს სრულიად საიდუმლო შვილება ეს არის პროცესი, როდესაც ჩვილს ან მცირეწლოვან ბავშვს იშვილებს სხვა ოჯახი, ხოლო ბიოლოგიური მშობლების თაობაზე ინფორმაცია სრულებით დახურულია. აღნიშნული ვითარება არის ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული შვილად აყვანის ფორმა. დახურული მონაცემები იძლევა გარანტიას თავიდან იყოს აცილებული მშვილებლებისა და გამშვილებლების პიროვნების დადგენა, ამასთან მხარეებმა ხშირ შემთხვევაში არც კი იციან ერთმანეთის ვინაობა. გადაუდებელ და სასიცოცხლოდ აუცილებელ შემთხვევებში, დახურული მონაცემები იხსნება და გაშვილებული პირი, სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ უკავშირდება ბიოლოგიურ ნათესავებს. ღია შვილად აყვანა არის შვილების ის სახე, რომელშიც მონაწილე ბიოლოგიურმა მშობლებმა და მშვილებლებმა იციან ერთმანეთის ვინაობა.

ღია შვილად აყვანისას ბიოლოგიური მშობლების მშობლის უფლება წყდება, ისევე, როგორც დახურული შვილად აყვანისას, ხოლო მშვილებლები იქცევიან ნაშვილების ლეგიტიმურ მშობლებად, მაგრამ მხარეები საკუთარი სურვილით ინარჩუნებენ კონტაქტს. ძირითადად, ბავშვის გაშვილების გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ბიოლოგიური დედა საკუთარ შვილს გადასცემს ამა თუ იმ გზით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და ამის შემდგომ არავითარ მონაწილეობას აღარ იღებს მშვილებელი ოჯახის შერჩევაში, ვინაიდან ბავშვზე პასუხისმგებლობას იღებს სპეციალურად ამისთვის უფლებამოსილი ორგანო.

ღიად გაშვილების შემთვხვევაში, ბიოლოგიური დედა თავად არჩევს თუ ვინ იქნება მისი ბავშვის მშვილებელი და ხშირ შემთხვევაში უშუალოდ უკავშირდება მათ. კავშირი მშვილებელსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის არის უშუალო, პირდაპირი და მისი ფარგლები განისაზღვრება თავად მხარეების მიერ.

შვილად აყვანის შესახებ თანამედროვე ლიტერატურაში, ასევე, გამოყოფენ შვილად აყვანის მესამე, ე.წ. ,,შუალედურ“ სახეს, რომელიც ორ რადიკალურად განსხვავებულ პოლუსს - ღია და საიდუმლო შვილად აყვანას შორისაა. ამ შემთხვევაში, მშვილებლებსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის დამაკავშირებელი რგოლია სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები ან პირები. კავშირი, რომელიც დამყარებულია ,,შუალედური“ შვილად აყვანისას, შემოიფარგლება ზოგადი ინფორმაციის გაცვლით. ხშირ შემთხვევაში ეს არის ხანგრძლივი დროის განმავლობაში რაიმე სახის ცნობების გაცვლა, რომელიც არ შეიცავს მშვილებლებისა და ბიოლოგიური მშობლების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს.

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, შუალედური, ნახევრად ღია შვილად აყვანა განიხილება როგორც ტრადიციული საიდუმლო შვილად აყვანისა და პროგრესული ღია შვილად აყვანის კომბინირებული მოდელი. ღია შვილების ხარისხის ცვლილების

შედეგი შვილად აყვანის შემდგომ ბიოლოგიურ მშობლებსა და მშვილებლებს შორის ურთიერთობის რეგულირება დღესდღეობით მწვავე განხილვის საგანია.

ღია შვილად აყვანის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ გაშვილებულ ბავშვსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის კონტაქტის გაგრძელება ხელს უშლის მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის სიყვარულისა და ნათესაური კავშირის ჩამოყალიბებას. მათი აზრით, მშვილებლები ღია შვილების შემთხვევაში ნაკლებად აკონტროლებენ მიმდინარე პროცესებს და ბიოლოგიური მშობლების გაჭიანურებული ჩარევით, ნაკლებად აღიქვამენ თავს მშობლებად.

შვილად აყვანის ინსტიტუტმა მსოფლიოში გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მაგრამ მისი საიდუმლოების ელემენტი, დადგენილია ოდითგანვე, ჯერ კიდევ რჩება და ასევე დარჩენილია მრავალი მითი, გაუგებრობა და არასწორი სტერეოტიპები.

ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ შვილად აყვანის ღიაობა სწრაფად მკვიდრდება ნორმად აშშ-ში ,,ღია შვილად აყვანის“ ცნება, რომელიც იწვევს მშვილებლებისა და მათი შვილების ბიოლოგიურ მშობლებთან უწყვეტი კავშირის საფეხურებისა და ხარისხის ცვლილებას, უცნობი, გაუგებარი და ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად შეუთავსებელია ჩვენი კულტურისათვის. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების ისტორიის შედეგად, შედარებით მცირე საერთო ცოდნაა შვილად აყვანაში მონაწილე პირებისა და მათ შორის ურთიერთობის ბუნების თაობაზე. ცოდნის ნაკლებობის შედეგია ბიოლოგიური მშობლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და სწორი ინფორმაციის მიუწვდომლობა მათთვის, ვისაც სურს შვილად აყვანა. შვილად აყვანის ღიაობის ცნების სწორად გაგება უმნიშვნელოვანესია როგორც იმ პირთა ინფორმირებისათვის,რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ გადასცენ საკუთარი შვილი ახალ ოჯახს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერები და პრაქტიკული მოღვაწეები იკვლევენ შვილად აყვანის ფენომენს და მისი ცალკეული სახეობის შინაარს, არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა, შვილად აყვანის რომელ სახეს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხი განხილული და გამოკვლეული არ არის. თავად გასაშვილებელი ბავშვის ცნება ისეა განსაზღვრული, რომ მშვილებლებს თეორიული შანსიც არ რჩებათ გაარკვიონ ნაშვილები ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის ვინაობა. შვილად აყვანის პროცესს სრულად წარმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც ანიჭებს პიროვნებებს, როგორც მშვილებლის, ასევე გასაშვილებელის სტატუსს. რთული სათქმელია თუ რამდენადაა მზად დღევანდელი საზოგადოება შვილად აყვანის პროცესის ,,განსაიდუმლოებისათვის“.

საზოგადოებრივი კონტროლი ოჯახის კანონიერების, ბავშვის რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებისა და ლეგიტიმური ურთიერთობების დამყარების მიმართ საკმაოდ მაღალია.

ნებისმიერი წარმომავლობის შემთხვევაში, შემთხვევითი თუ მიზანმიმართული გამხელა, ხშირად ბავშვის გულჩათხრობას, დეპრესიას და გამზრდელი მშობლებისადმი გაუცხოებას იწვევს. საიდუმლოების გამცემი ამასთან, პირის პასუხისმგებლობის საკითხი, მნიშვნელოვანი და არსებითი არ არის. უმეტესად, ნაშვილები ბავშვები გულში ატარებენ ტკივილს საკუთარი წარმომავლობის შესახებ და მხოლოდ სრულწლოვანების შემდგომ აქვთ შესაძლებლობა მოძებნონ საკუთარი ფესვები.[11]

რეალობაა, ის, რომ ყველა შემთხვევაში არ არის შვილის ყოლის პროცესი მარტივი და ბუნებრივი. იმდენად დიდი და გლობალური პრობლემაა უშვილობა წყვილებში, რომ განვითარებულ კულტურებში შვილად აყვანა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, და არ ითვლება ოჯახური ცხოვრების არასრულფასოვან წესად, მიუხედავად გენეტიკური კავშირის არარსებობისა. ამის დასტურად, სხვადასხვა ქვეყნებში აღნიშნავენ „შვილად აყვანის ნაციონალურ დღეს“, ამ დღეს ისინი აქვეყნებენ სოც.ქსელში აყვანილი ბავშვების ფოტოებს, საქართველოში ეს პროცესი პირიქითაა და სწორედ აქედან იწყება პრობლემები, რაც თან სდევს შვილად აყვანის პროცესს. ის დიდ საიდუმლოებასთან და სირცხვილთან არის დაკავშირებული, ამას კი იმით ხსნიან რომ, მშვილებელი მუდმივ სტრესსა და შიშს განიცდის, რაც შემდგომ უარყოფითად აისახება მშობლის მოვალეობების შესრულების ხარისხზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შვილად აყვანის ფორმები, მიუხედავად მათი შედეგებისა, კვლავაც დასახვეწია და აღნიშნული ინსტიტუტის განვითარება დამოკიდებულია როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაზე, ასევე საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე.

1.2. შვილად აყვანის ინსტიტუტი საქართველოში და მისი სამართლებრივი რეგულირება

რომში შვილად აყვანა ორ სახეობად იყოფოდა, რომელთაგან ერთი “ადოფციოს” სახელით იყო ცნობილი, ხოლო მეორე –“ადროგაციოდ”. “ადროფციო” აღნიშნავდა ოჯახის შვილის შვილად აყვანას, “ადროგაციო” კი თავისუფალი პირის შვილებას. როგორც წესი, შვილება ორნაირად ხდებოდა: ან პრინცეფსიის, ან მაგისტრატის ხელისუფლებით. პრინცეფსიის ხელისუფლებით შვილად იყვანდნენ იმას, ვინც თავისუფალი იყო, ხოლო მაგისტრატის ხელისუფლებით შვილად აყავდათ ის, ვინც მეურვეობას ექვემდებარებოდა. რომაული სამართალი შვილად აყვანას განიხილავდა, როგორც მშვილებლის ძალაუფლების დამყარებას სხვის შვილებზე ნათესაობის მსგავს ურთიერთობათა წარმოშობასთან ერთად. ნაშვილები თავისუფლდებოდა უწინდელი მამობრივი ძალაუფლებისაგან და მთლიანად შედიოდა შვილად ამყვანის ოჯახში.

[11] „შვილად აყვანა - „ღია“ თუ „საიდუმლო“ პროცესი“ - სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ ISSN 1512 – 1305 N7 (9) -2012 გვ.93

შესაძლებელი იყო ასევე არარომაელი ბავშვის შვილებაც, რომელსაც ენიჭებოდა თავისუფალი მოქალაქის სტატუსი. შვილად აყვანის ძირითად დანიშნულებას მისი განვითარების პირველი ეტაპზე წარმოადგენდა ოჯახისათვის ვაჟის აუცილებელი ყოლა, რადგან რელიგიური ადათი ოჯახის უფროსისაგან მოითხოვდა ვაჟის ყოლას კერიის სიწმინდის დასაცავად, და თუ ბუნება არ აძლევდა ოჯახის უფროს ღვიძლ შვილს ვაჟის სახით, მას ოჯახში უცხო, სხვისი ვაჟიშვილი უნდა მიეღო. შესაბამისად, აღნიშნულმა თავისებური გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების კანონმდებლობათა განვითარებაზე, მათ შორის, ქართული სამართლის ჩამოყალიბებაზეც.[12]

შვილად აყვანა ქართული სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი, თუმცა ამ ინსტიტუტის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. იგი ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც იყო ანდერძის ინსტიტუტი. საქართველოში შვილად აყვანა განეკუთვნება საოჯახოსამართელბრივ ურთიერთობას, საკანონმდებლო დონეზე საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისბრძანება N 307/ნ „გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვის, შვილად აყვანასთან (გაშვილებასთან) და გაშვილებულ პირთა ბიოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 305/ნ „შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადებისა და გაცემის წესისა და მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 306/ნ „ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ან მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ პირველადი და ძირითადი ფორმების დამტკიცების შესახებ“.[13]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „შვილად აყვანა იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს“[14] როგორც ვხედავთ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ შვილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა სწორედ ისეთი ურთიერთობა როგორიც არის მშობლებსა და მათ შვილებს შორის.შვილად აყვანა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის შემადგენელ ნაწილს და ყველა სამართლებრივ სისტემაში იგი რეგულირებულია სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით.

[12] მეტრეველი ვ. 2009. რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი: მერიდიანი.
[13] საქართველოს კანონი N 786, საქართველოს პარლამენტი, თბილისი 1997წ.
[14] შენგელია, რ. (2000). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, წიგნი V, გვ. 244.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შვილად აყვანის ძირითადი საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებს, როგორც წესი, არსებობს დამოუკიდებელი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც დაკავშირებულია შვილად აყვანასთან, იქნება ეს ამ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა სტატუსი და მათ მიმართ დადგენილი მოთხოვნები, ბავშვის გაშვილების პირობები თუ პროცედურა, რომელიც უნდა გაიაროს ყველა პირმა, რომელსაც სურს შვილად აყვანა. შვილად აყვანის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფო მკაცრ კონტროლს ახორციელებს შვილების პროცესის ზედამხედველობაზე. თითქმის ყველა ქვეყანაში, ბავშვის შვილად აყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, იქნება ეს სპეციალიზირებული თუ საერთო, ხოლო მონაცემების გადამოწმებასა და შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

განსხვავდება შვილად აყვანის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირთა სამართლებრივი სტატუსი და მათთვის დადგენილი მოთხოვნები საკმაოდ მრავალფეროვანია მშვილებლების მიმართ დადგენილი მოთხოვნებიც.

ერთი და იმავე სამართლებრივი სისტემის ქვეყნების კანონმდებლობა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სხვადასხვა პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მშვილებელი. ეს ძირითადად ეხება ასაკობრივ ცენზს, მშვილებლების ოჯახურ მდგომარეობას, მათ სოციალურ სტატუსს. მინიმალური ასაკობრივი სხვაობა მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის დადგენილია თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობით. მიუხედავად ამისა, ასევე თითქმის ყველა სახელმწიფო ითვალისწინებს საგამონაკლისო ნორმას, რომელიც გამორიცხავს მხოლოდ ასაკობრივი სხვაობის გამო შვილად აყვანაზე უარის თქმას, რაც უკავშირდება გასაშვილებლის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანო, კერძოდ, სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას წყვეტს შვილად აყვანის საკითხს ასაკობრივი ცენზის დაუცველად.

შვილად აყვანის ინსტიტუტის განხილვისას მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნების მიერ მშვილებლების ოჯახური მდგომარეობის მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესწავლა, რამდენადაც ზოგიერთ ქვეყანაში შვილად აყვანა შეუძლიათ მხოლოდ ოფიციალურ ქორწინებაში მყოფ პირებს, რომელთა ოჯახის სტაბილურობა მოწმდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში მშვილებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს შვილად აყვანის შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შვილად აყვანის კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე განსხვავებული მიდგომებია სამართლის სისტემების მიხედვით. აღნიშნული საკითხი არაერთგვაროვნადაა რეგულირებული როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთმნიშვნელოვნად დაცულია შვილად აყვანის საიდუმლოება ხოლო მისი დარღვევა ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ისევე როგორც საქართველოში. რაც შეეხება საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებს, შვილად აყვანის

ფაქტის გაუხმაურებლობა არ წარმოადგენს კანონით დასჯად მოთხოვნას და იგი ღიაა როგორც ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ასევე ყველა სხვა პირთათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება შვილად აყვანის ინსტიტუტს, არის შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა. აღნიშნული საკითხი სხვადასხვგვარად რეგულირდება უცხო ქვეყნების კანონმდებლობით. რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც შვილად აყვანის ბათილად ცნობას, ასევე მის გაუქმებას. შვილად აყვანის ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი სამართლებრივი სისტემების მიხედვით დაგვეხმარება დავინახოთ ის დადებითი მხარეები, რომელიც ახასიათებს შვილად აყვანის თაობაზე ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ეფექტურად გამოვავლინოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის აღნიშნული ინსტიტუტის მოქნილად ფუნქციონირებას და დავსახოთ მომავალი მიზნები საქართველოში შვილად აყვანის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.[15] როგორც ვხედავთ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია, რომ ბავშვი ოჯახურ გარემოში იზრდებოდეს, რისთვისაც ნორმატიულ დონეზე დეტალურად უნდა იქნეს დარეგულირებული პროცესი თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვის გაშვილება, ვის უნდა მიენიჭოს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი, ვინ შეიძლება იყვნენ მშვილებლები - გამომდინარე იქიდან რომ საკითხი მეტად დელიკატურია, მეტად ფაქიზ და ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ბავშვის ინტერესები. „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციით, გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციითა“ და ჰააგის კონვენციით „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ გარანტირებულია ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულობა, რაც შესაბამისად შიდა საკანონმდებლო დონეზეც უნდა იქნეს განმტკიცებული.

საქართველოში ასევე არსებობს მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახში ინტეგრირების კიდევ ერთი ფორმა - მინდობით აღზრდა,, რომელიც შედარებით ახალია ინსტიტუტია. შვილების მსურველ ოჯახებთან იდება ხელშეკრულებები განსაზღვრული ვადით მაგალითად ერთთვიანი ან ერთწლიანიც კი. ასეთ დროს ჯანმრთელი ბავშვის წაყვანის შემთხვევაში ოჯახს სახელმწიფო უხდის ყოველთვიურად 200 ლარს, ხოლო თუ ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს ყოველთვიურად 300 ლარს. მოქალაქეებმა ასეთ ბავშვს უნდა დაუკმაყოფილონ ის პირობები რაც მისთვის აუცილებელია, ბავშვის სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო უზრუნველყოფს. მოქალაქეთათვის ეს სამსახურია, რისთვისაც ხელფასს იღებენ ხოლო ბავშვისთვის ინსტიტუტიდან გასვლის საშუალება. თუ ბავშვი ათი წლის ზემოთაა გაშვილების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი აზრი, თუ იგი წინააღმდეგია, მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად სასამართლო გაშვილებაზე უარყოფით გადაწყვეტილებას გამოიტანს. თუმცა კანონში არ არსებობს დათქმა იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს ბავშვი (ანუ

[15] აღნიშნული ფორმა დგინდება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის N 304/ნ 2008 წლის 31 დეკემბერის ბრძანებით, „მინდობით აღზრდის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“

რამდენად ძალუძს მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება). გაშვილების დროს ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს აქვს გაშვილებაზე უარის თქმის საშუალება რაც ართულებს პროცესს. გაშვილების დროს მშობელი შემდეგი უფლება მოვალეობებით სარგებლობენ:

ა) მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ პირველადი ფორმის შევსებით მშობელი (მშობლები) გამოხატავს სურვილს შვილის გაშვილებაზე, თუმცა მშობელს ეძლევა საშუალება მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ ძირითადი ფორმის შევსებამდე შეცვალოს მის მიერ ბავშვის გაშვილების თაობაზე პირველად მიღებული გადაწყვეტილება მშობელს შეუძლია აირჩიოს ალტენატივა:

რეინტეგრაცია (ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მინდობით აღზრდა (ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება) ან საბავშვო-სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსება, რაც არ გამოიწვევს მშობლის უფლება–მოვალეობის შეჩერებას ან ჩამორთმევას და ბავშვის გაშვილებას.

ბ) მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ პირველადი ფორმის ხელმოწერისას მშობელი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ. კერძოდ, მას შეუძლია ბავშვი დაიტოვოს ან მასზე მზრუნველობა მიანდოს ტერიტორიულ ორგანოს.

გ) თუ მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ პირველადი ფორმის შევსების მიუხედავად, მშობლის უფლებაზე უარის თქმის პირველადი ფორმის შევსებიდან არაუგვიანეს 12 კვირისა მშობელი/მშობლები არ გამოცხადდა ტერიტორიულ ორგანოში თავისი საბოლოო გადაწყვეტილების დასადასტურებლად, ტერიტორიული ორგანო დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს მშობლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით.

დ) ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ან მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ ძირითად ფორმას მშობელი ხელს აწერს მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ პირველადი ფორმის შევსებიდან არა უადრეს 6 კვირისა და არა უგვიანეს 12 კვირისა. მშობლის მიერ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ან მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ ძირითადი ფორმის შევსების შემდეგ მშობლის უფლება-მოვალეობებს ბავშვის გაშვილებამდე ახორციელებს მშობელი ან ეს უფლება-მოვალეობები, შეთანხმების საფუძველზე, გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

თუ მშობლის უფლება-მოვალეობები მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაეცემა, მშობლის (მშობლების) უფლება-მოვალეობები შეჩერებულად ჩაითვლება.

სასამართლო შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოიტანს მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილებას.

ე) სასამართლოს მიერ ბავშვის გაშვილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე მშობელს (მშობლებს) უფლება აქვს, შეცვალოს მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.[16]

[16] ოთარ ხუციშვილი, გიორგი გ. თუმანიშვილი 2010 საქართველოში ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლებრივი ანალიზი თბილისი, 2010 გვ 6

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს მოხდა შვილად აყვანის პროცესის გამარტივება რაც წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგალითად სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ იქნა 1253-ე მუხლი რომლის მიხედვითაც „აუცილებელია მეურვის წერილობითი თანხმობა იმ ბავშვის შვილად აყვანისთვის, რომელიც მეურვეობაში იმყოფება და რომელსაც მშობლები არ ყავს, ან რომლის მშობლები აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ ან უგზო უკვლოდ დაკარგულად“. თუმცა პროცესის გამარტივების მიუხედავად დღესდღეებით ვერ მოხერხდება იმ ბავშვის გაშვილება რომელსაც მშობლები ჰყავს და რომლის მშობლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უარს აცხადებენ ბავშვის გაშვილებაზე.

როგორც აღვნიშნეთ სახელმწიფოს პოლიტიკა და მისი ძირითადი მიზანია, რომ ბავშვი ინსტიტუტების ნაცვლად აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, მაგრამ ბავშვის შვილად აყვანის თემა საქართველოში ყოველთვის ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რის გამოც ადამიანებს წლების განმავლობაში უწევთ ლოდინი. მართალია ახალი კანონით მოხდა ცვლილებების შეტანა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და რამაც შვილად აყვანის პროცესი გაამარტივა, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ამ კუთხით შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი საკითხები:

1. „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენცია და „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“ გაეროს კონვენციით აღიარებულია: „ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესი მნიშვნელობისაა“, ქართული კანონმდებლობა კი ასე თუ ისე ბავშვის უპირატეს უფლებას უგულვებელყოფს ბიოლოგიური მშობლის სასარგებლოდ. ამის ნათელი მაგალითია ის რომ თუ მშობელი უარს აცხადებს ბავშვის გაშვილებაზე ბავშვი ვერ გაშვილდება.

2. რაც შეეხება 10 წლის ზემოთ ბავშვის თანხმობას გაშვილებაზე — კარგია როდესაც ბავშვი თავად აკეთებს არჩევანს იქნეს თუ არა გაშვილებული მაგრამ აუცილებელია თანხმობა თუ უარი გაშვილებაზე ნამდვილი ნების საფუძველზე იქნეს გამოთქმული. საქართველოს ნორმატიული სისტემით არ რეგულირდება საკითხი თუ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვს არ გააჩნია სათანადო აზროვნების უნარი (ალბათობის მაღალი ხარისხით, სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში ქმედუუნაროდ იქნებოდა ცნობილი), ან ბავშვი ქმედუუნაროა და ასეთად აღიარებულია სასამართლოს მიერ, თუმცა იმისთვის, რომ ბავშვი ქმედუუნაროდ გამოცხადდეს სასამართლოსთვის მიმართვაა სჭირო, რაც რეალურად ქმნის ისეთ ვითარებას, რომ არასათანადო აზროვნების მქონე ბავშვი არაა აღიარებული ქმედუუნაროდ, რადგან ამის შესახებ სასამართლოსთვის არავის მიუმართავს.

3. ის რომ ბავშვის გაშვილების საკითხი ფერხდება შვილების მსურველ ადამიანებს დიდხანს უწევთ ლოდინი თუ როდის მოხერხდება რომ აიყვანონ შვილი იწვევს კანონგარეშე მოქმედებებს, ანუ „გაშვილებას“ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს გვერდის ავლით.

4. ხშირ შემთხვევაში მშობლები არ ნახულობენ შვილს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში როგორ უნდა მოვიქცეთ თუნდაც ასეთ შემთხვევებში, სსკ-ის 21-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად სანამ არ გავა 2 წელი და სასამართლო არ მიიღებს

სათანადო გადაწყვეტილებას ბავშვის გაშვილება შეუძლებელია. ანუ ბავშვი გადაეცემა ჩვილ ბავშვთა სახლს და 2 წლის განმავლობაში გამორიცხულია ასეთი ბავშვების ჩვილ ბავშვთა სახლიდან კანონიერი გაშვილება, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ბავშვზე, ვერ ხორციელდება მისი უფლება - გაიზარდოს ოჯახურ გარემოში, არადა ჰააგის კონვენციის პრეამბულაში „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, აღნიშნულია: ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. შვილად აყვანის ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი სამართლებრივი სისტემების მიხედვით დაგვეხმარება დავინახოთ ის დადებითი მხარეები, რომელიც ახასიათებს შვილად აყვანის თაობაზე ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ეფექტურად გამოვავლინოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის აღნიშნული ინსტიტუტის მოქნილად ფუნქციონირებას და დავსახოთ მომავალი მიზნები საქართველოში შვილად აყვანის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

1.3.. მინდობით აღზრდის არსი და სამართლებრივი პროცედურები კანონმდებლობის მიხედვით

ბავშვთა მოვლისა და აღზრდის ტრადიციული ფორმების გარდა, საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შედარებით ახალი ინსტიტუტი, მინდობით აღზრდა ანუ (შვილობილობა), რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებას, რომლის თანახმადაც რაც შეიძლება მეტი ბავშვი უნდა გაიზარდოს ოჯახურ გარემოში. გამომდინარე იქიდან, რომ მინდობით აღზრდას აქვს რამდენიმე წლიანი ისტორია საქართველოში და არ გამოირჩევა სამეცნიერო კვლევების სიმდიდრით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ პროგრამის განხორციელების თავისებურებები.

მინდობით აღზრდის პროგრამის მთავარი მიზანი ბავშვების უფლებებისა და საჭიროებების დაცვაა, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ალტერნატიული მზრუნველობის ფორმის შეთავაზება. თუმცა მთავარი აქცენტი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციაზე კეთდება. მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვის უფლებაა ჰქონდეს ურთიერთობა მის ბიოლოგიურ ოჯახთან თუ კი ეს მის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. რაც უფრო ხშირია ბიოლოგიური მშობლების ვიზიტების რაოდენობა, მით უფრო მაღალია რეინტეგრაციის შანსი. წარმატება დამოკიდებულია ბავშვების სამომავლო ზრუნვის ფორმის განსაზღვრაზე. მინდობით აღზრდის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს დაცულობისა და სტაბილურობის განცდა ბავშვებისთვის, ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობა რეინტეგრაციისთვის ან/და სამომავლო ზრუნვის ფორმის შერჩევა. ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვებისთვის მზრუნველობის ალტერნატიული ფორმების განვითარებაზე სახელმწიფო 1999 წლიდან მუშაობს.

მინდობითი აღზრდა მზრუნველობის ერთ- ერთი ასეთი ალტერნატივაა.[17] სწორედ ამ საფუძვლით პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება იქნა მიღებული უდედმამო ბავშვთა მიმართ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებათა შესახებ. იგი ითვალისწინებს ხელშეკრულების საფუძველზე ბავშვთა გადაცემას აღმზრდელებისათვის. იმ ოჯახებს, რომლებიც ზრუნვისა და მეურვეობის მიზნით მიიღებდნენ უდედმამო ბავშვს დაუწესდათ ერთჯერადი თანადგომა 500 ლარის ოდენობით. ხოლო ყოველთვიურად ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობა ბავშვის სრულწლოვნებამდე. ამ საკითხისადმი საყოველთაო ყურადღებამ და ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემების სიმწვავის გათვიცნობიერების მაღალმა დონემ განაპირობა 1999 კანონის მიღება.[18] ამ კანონით შედარებით სრულყოფილად იქნა მოწესრიგებული შვილობილობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, ჩამოყალიბდა ძირითადი პრიციპები. დაწესდა ცალკეული ანაზღაურება ბავშვის მოვლასა და აღზრდასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის რომელიც ჩაითვალა შრომითი სტაჟის გამოთვლის საფუძვლად. ამ კანონმა იმოქმედა რვა წელი. [19] 2007 წლის 18 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი „მინდობით აღზრდი შესახებ“, ადრე მოქმედი კანონმდებლობა ცალკეულ ნორმად იყო ჩამოყალიბებული და და მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის 2009 წლის 18 დეკემბერს ცალკეული კანონები „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ უმნიშვნელო დამატებებით გაერთიანდა ერთ აქტად. ამ კანონით გაცნობიერებულია სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე იმ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის, რომელიც თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანის აუცილებელ ინგრედიენტს წარმოადგენს, ანუ ბავშვის შვილობილად აყვანის სისტემის ამოქმედებით უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში სრული და ჰარმონიული აღზრდის უპირატესი უფლება, ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნების ფორმირებას, მის სოციალიზაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში.[20]სწორედ შვილობილობის დროებითი ხასიათიდან გამომდინარე გაფართოვდა მისი გამოყენების სფეროც, რადგან შესაძლებელია აღზრდის ფუნქციები ცალკეულმა ოჯახებმა იკისრონ არა ხანგრძლივი პერიოდით, არამედ ჩვეულებრივ ბავშვის სრულწლოვნებამდე და გაგრძელდეს მიმღები ოჯახისთვის მისაღები ვადით.

მინდობით აღზრდის ესოდენ დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ უმეთვალყურეოდ და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მინდობით აღსაზრდელად გადაცემით უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით გათვალისწინებული მათი ყველა უფლების რეალიზება და ინტერესების დაცვა მშობლიურ, ოჯახურ გარემოში, სიყვარულსა და აუცილებელ

[17] სტატია, http://liberali.ge/articles/view/19943/salome.ge ;

[18] საქართველოს 1999 წლის კანონი, „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშთა შვილობილად აყვანის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16234?publication=4 ;

[19] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 298

[20] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 298

მატერიალურ პირობებში მანამდე, სანამ არ მოხდება მათი შვილება მიმღები ან სხვა ოჯახის მიერ ან საკუთარ ოჯახში დაბრუნება.[21]სახელმწიფოს უპირველესი მიზანი რეინტეგრაციაა, მაგრამ როდესაც აღნიშნული ვერ ხერხდება, მინდობით აღზრდის ინსტიტუტი წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში ცხოვრების ერთ-ერთ გზას და ასრულებს შუალედური რგოლის ფუნქციას.[22]

მინდობით აღზრდის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმადაც ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოს, ან რომელსაც არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მათ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვთ.[23] მინდობით აღმზრდელების მომზადება ორი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. სწორად დაგეგმილი და განხორციელებული მომზადების პროცესი საშუალებას იძლევა, კიდევ ერთხელ შემოწმდეს მინდობით აღმზრდელის მოტივაცია, მისი ძირითადი ღირებულებები, რათა შემცირდეს ბავშვზე ძალადობის, მისი უგულებელყოფის ან ექსპლოატაციის რისკი. პროცესი ერთგვარი დამატებითი ფილტრის ფუნქციას ასრულებს. ის ასევე ეხმარება პოტენციურ მინდობით აღმზრდელებს, რომ ბოლომდე გააცნობიერონ, რა საქმეს ეჭიდებიან, რა სახის პრობლემებთან მოუწევთ გამკლავება ან რა სახის სიკეთეებს (მორალურს, სულიერს თუ მატერიალურს) შეიძლება ელოდონ. [24] მომზადების შედეგად პოტენციური მიმღები მშობლები აღიჭურვებიან ცოდნითა თუ უნარ-ჩვევებით, როგორ აღზარდონ ბავშვი, რა არის მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებისთვის თითოეულ ეტაპზე, როგორ გაუმკლავდნენ რთულ ქცევას, რა შეიძლება იწვევდეს ამ სირთულეებს, როგორ უნდა მოახდინონ ბავშვთან კომუნიკაცია, როგორ წაახალისონ თუ დასაჯონ ბავშვი, როგორ მიუდგნენ ინდივიდუალურად, რა მნიშვნელობა აქვს ამას და ა.შ. შეიძენენ ყველა იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც ბიოლოგიურ მშობლებსაც არანაკლებ სჭირდებათ. მინდობით აღზრდის სისტემაში ბავშვის ჩართვის გადაწყვეტილებას იღებენ სოციალური მუშაკები, მოსამართლეები, ბიოლოგიური ოჯახები, ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, ვინაიდან ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების გადაწყვეტილებას რამდენიმე პირი იღებს, მნიშვნელოვანია თითოეულმა ყურადღებით შეისწავლოს აღნიშნული საქმე, რათა არ დაიკარგოს უმთავრესი პრინციპი „ბავშვი და მისი ჭეშმარიტი ინტერესები“[25] საქართველოს კანონმდებლობით მეორვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია 6 თვის შემდგომ დაიწყოს ბავშვის მიტოვებულად აღიარებული სტატუსზე მუშაობა, თუ კი ბავშვი რომელიც 24 საათიან ზრუნვის სიტემაში იმყოფება

[21] მ. გოგლიძე, ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, თბ., 2016, გვ. 147
[22] მ. გოგლიძე, ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, თბ., 2016, გვ. 150
[23] გაეროს კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ, 1989, მ. 20
[24] სტატია, http://liberali.ge/articles/view/19943/salome.ge ;

[25] მ. ბეგიაშვილი, მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა, თბ., 2019, გვ. 16

მშობელი არ იჩენს ყურადღებას და არ ინტერესდება ბავშვის მდგომარეობით, მშობლის უფლების ჩამორთმევა კი უკვე საკმარისი მიზეზია, რათა ბავშვი გადავიდეს მინდობით აღზრდაში, ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს მეშვეობით.

მინდობით აღმზრდელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები სრულწლოვანი პირი, რომელშიც იგულისხმება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე რომელზედაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულია საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა დ სამუდმივად ცხოვრობს საქართველოში.[26] მინდობით აღმზრდელი ვერ იქნება პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო. პირი, რომელსაც შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, პირი რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შუძლია ბავშვის აღზრდა, პირი რომლის ოჯახის წევრსაც სასამართლომ მსჯავრი დაადო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული, პირი რომელიც ამ ხელშეკრულების საფუძველზე არაჯეროვნად ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას და ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი, პირი რომლის სოციალური სტატუსი ნაკლებია მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე და ასევე პირი რომელიც ნასამართლევია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლეობა.

კანონი შილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ განსაზღვრავს შვილობილობის სამართლებრივ პრინციპებს, აწესრიგებს მათი განხორციელებისას სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ადგენს მინდობით აღზრდის წესს, განახორციელებს გარანტიებსა და შვილობილად აყვანის პროცედურას, აგრეთვე განსაზღვრავს ბავშვის მიმართ ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკის სტატუსსა და მის უფლებამოვალეობებს შვილობილობის მთელი პერიოდისთვის.[27]

საქართველოში მხოლოდ 4 სახის მინოდბით აღზრდის ტიპი არსებობს:

1) ნათესაური მინდობით აღზრდა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ნათესავთან მისი განთავსება;

2) რეგულარული მინდობით აღზრდა - მინდობით აღმზრდელსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბავშვისთვის ოჯახური გარმოს შექმნა;

3) გადაუდებელი მინდობით აღზრდა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით შეთავსების ანგარიშის გარეშე მინდობით აღმზრდელთან განთავსება;

---

[26] საქართველოს კანონი, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მ. 71

[27] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 298

4) ჩამნაცვლებელი მინდობით აღზრდა - მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვის დროებით სხვა მინდობით აღმზრდელთან განთავსება, თუმცა პრაქტიკაში მინდობითი აღზრდის ამ სახეობას საქართველოში არ ვხვდებით.

კანონის მიხედვით, მინდობით აღზრდის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო, რომლის ტერიტორიული ერთეული მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მინდობით აღზრდის სფეროში მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის შეფასებას, მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის რეგისტრაციას, მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირი, მინდობით აღზრდის მსურველი პირის, მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღზრდის რეგისტრაციისა და აღნიშნული პირის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებას, თავსებადობის შეფასებას, მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას, და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს, მინდობით აღსაზრდელის საცხოვრებელი პირობები, მისი აღზრდა განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას, საკუთარი კონპეტენციის ფარგლებში კონსულტაციების გამართვას. მინდობით აღზრდაში განთავსებამდე ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული პროგრამის და მინდობითი აღმზრდელის შესახებ. მას უნდა ჰქონდეს სოციალური მუშაკის საკონტაქტო ნომერი, რათა შეძლოს მასთან დაკავშირება დროის ნებისმიერ მონაკვეთში. სტანდარტში ყურადღება ექცევა ბავშვისა და ბიოლოგიური ოჯახის ურთიერთობის წახალისების ხელშეწყობას, თუკი ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.[28] მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის მიზნით პიროვნებამ უნდა მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოს, ფაქტობრივი საცხორებელი ადგილის მიხედვით. ამის შემდგომ მინდობით აღმზრდელის მსურველი პირი გაივლის შესაბამის ტრენინგ კურს. სერთიფიკატის აღების შემედგომ სოციალური მუშაკი ახდენს ბავშვის საჭიროებებისა და ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის საჭიროებების შემოწმებას. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი საბჭო. სოციალური მუშაკი განცხადების მიღებიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა, ახორციელებს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის/ოჯახის პირველად შეფასებას და წერს დასკვნას, თუ პირველადი შეფასება უარყოფითია, სოციალური მუშაკის დასკვნის შესაბამისად მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას დედობილის/მამობილის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. თუ პირველადი შეფასება დადებითია, სოციალური მუშაკი არა უმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ამზადებს ოჯახის სრულ შეფასებას და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოსათვის წარსადგენ დასკვნას. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო უზრუნველყოფს დედობილის/მამობილის

[28] მ. ბეგიაშვილი, მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა, თბ., 2019, გვ. 13

რეგისტრაციას 1 წლის ვადით, თუ ამ ვადაში არ მოხდა დედობილისათვის/მამობილისათვის პირის მინდობით აღზრდაში გადაცემა. [29]
საქართველოს კანონმდებლობით მინდობით აღმზრდელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არ უნდა იყოს ნასმართლევი, ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს ბავშის საჭიროებები, დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები. მინდობით აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მინიმალური ასაკობრივი სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 16 წელს. დოკუმენტის მიხედვით ოჯახი რეგისტირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა 100 000 და მეტი, სავალდებულოა სპეციალური ტრენინგების გავლა, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს.
მინდობით აღზრდის პროგრამის წარმატებით განხორცელებაში დიდი წვლილი შეაქვს მინდობით აღმზრდელს, ბიოლოგიური მშობლებს, ბავშვისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებულ და წარმატებულ ურთიერთთანამშრომლობას.
თუმცა არ არის ზუსტად გაწერილი სოციალური მუშაკისა და მინდობით აღმზრდელის ურთიერთობის ნორმები და როლი, სწორედ ამიტომ, შესაძლოა მოხდეს ურთიერთობების არარეგულირება, აღრევა და კონფლიქტი. მიდნობით აღზრდაში მყოფი ბავშვის განვითარებაზე გავალენას ახდენს არა მარტო მინდობით აღმზრდელის ოჯახის სტაბილურობა, არამედ მინდობით აღმზრდელისა და სოციალური მუშაკის ურთიერთობაც. პროგრამის განხორციელებისას ხშირად გაურკვეველია სოციალური მუშაკის როლი. ვინ არის სოციალური მუშაკი მინდობით აღმზრდელისთვის და მინდობით აღსაზრდელისთვის?! მომლაპარაკებელი, დამხმარე, მედიატორი? საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს არ აქვს ერთი კონკრეტული როლი.
ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას (გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა) იღებს რეგიონული საბჭო თავსებადობის შესახებ სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა სურვილი ბავშვის ასაკთან, სქესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით; შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა; ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა ოჯახში მცხოვრები ბავშვების, მათ შორის, ბიოლოგიური შვილების და შვილად აყვანილი ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდს; 10 წელს მიღწეული ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით; ასევე დაუშვებელია და-ძმის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს; მინდობით აღსაზრდელსა და დედობილს/მამობილს

[29] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება No51/ნ მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1008793?publication=0 ;

შორის ასაკობრივი სხვაობა კი უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა. მინდობით აღზრდის ხელშეკრულება დადების წესითა და შინაარსით ბევრად განსხვავდება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებებისგან. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ხელშეკრულება იდება მკაცრად განსაზღვრულ სუბიექტებს შორის, ესენია: ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, რომლებიც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოადგენენ და მეორე მხრივ, მიმღები ოჯახი, დედობილ-მამობილის ოჯახები, რომელთაც გადაეცემა შვილობილები მოსავლელად და აღსაზრდელად. სხვა სუბიექტებს შორის ასეთი ხელშეკრულება არ იდება. უმეტესად მინდობით აღზრდს ხელშეკრულება იდება სამი ან ხუთღი წლის ვადით და ყოველთვის არსებობს ახალი ვადით მისი დადების შესაძლებლობა. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იდება, მხოლოდ მათი სურვილით არ განისაზღვრება. მათი ნაწილი სახელმწიფოს მიერ დგინდება. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის შვილობილის მოვლა და აღზრდა. კონკრეტული ხელეშეკრულების დადებამდე, საჭიროა განსაზღვრული წინასწარი სამუშაოების ჩატარება,იგულისხმება იმ ბავშვების გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა, რომლებიც მოსავლელად და აღსაზრდელად შეიძლება გადაეცეთ ცალკეულ ოჯახებს. კანონის მიხედვით განსაზღვრულია იმ ბავშვთა კატეგორია, რომლებიც მინდობით აღზრდას ექვემდებარებიან. მათ რეგისტრაციას ახროციელებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. [30]ბავშვი შეიძლება აყვანილი იქნეს შვილობილად, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მას უნდა დაენიშნოს მეურვე ან მზრუნველი, მაგრამ ჯერ არ ყავს დანიშნული. ასეთი ბავშვის შვილად აყვანა მოკლე დროით მოხდება და გაგრძელდება მისთვის მეურვის მეურვის და მზრუნველის დანიშვნამდე. შვილობილად აყვანა არ ნიშნავს იმას, რომ მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა მოისპოს. ასევე შვილის ჩამორთმევისას მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის ან შეზღუდვის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია ბავშვი დროებით მოათავსოს მესამე პირთან. ყველაზე კარგი ვარიანტი კი მიმღებისთვის ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემაა. მშობლის პირვანდელ სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა შვილობილობის შესახებ მიღწეული შეთანხმების გაუქმების საფუძველია, თუ ეს აშკარად არ ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს. თუ ბავშვი დატოვებულია მეურვესთან ან მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მზიეზების გამო ბავშვისთის საზიანოა და მეურვე ან მზრუნველი ამის თაობაზე მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მსგავს შემთხვევაში მეურვეობა ან მზრუნველობა ბავშვის მიმართ არ წყდებ და ახალი მეურვის ან მზრუნველის შერჩევამდე შესაძლებელია ბავშვის გადაცემა შვილობილად. თუ

[30] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 300-301

მშობლის უფლებები-გადაწყვიტოს ვისთან უნდა იცხოვროს ბავშვმა, შეზღუდულია და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ. საოჯახო სამართალში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მშობლისათვის იმის განსაზღვრის უფლების მინიჭება, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვმა. ამის საჭიროება ძირითადად მაშინ დგება, როცა მშობლები განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო ცალკ-ცალკე ცხოვრობენ.
შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვა თუ მას მშობლები ვერ იყენებენ შვილის ინტერესების შესაბამისად, ასევე თუ ბავშვის განთავსება ოჯახის გარეთ განპირობებულია მისი მშობლისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერებით. მინდობით აღზრდას ექვემდებარება ასევე 21 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განრიდების ღონისძიების სახით გამოიყენება მინდობით აღსაზრდელად განთავსება. [31]

შვილობილობის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიმღები ოჯახის აღრიცხვისა და მათი იმ წევრების დაზუსტება, რომლებსაც დედობილ მამობილის ფუნქციების განხორციელება დაეკისრებათ, როცა მიმღებ ოჯახზეა ლაპარაკი, აქ იგულისხმება, რომ მთელი ოჯახი მზადყოფნაშია. ოჯახში ბავშვის შვილობილად მიღებისას თანხმობა უნდა გამოხატოს მისმა სრულწლოვანმა ყველა წევრმა. ხელშეკრულება კი უნდა გაფორმდეს კონკრეტულ აღმზრდელებთან-დედობილ-მამობილთან ან ერთ-ერთ მათგანთან. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით, გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა, მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვნობის მიღწევამდე, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული პირის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ხელშეკრულება ფორმდება ერთის მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მეორე მხრივ, ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველ პირს შორის. ამ მომენტიდან მოსავლელად და აღსაზრდელად გადაცემული ბავშის აღმზრდელებს-დედობილ-მამობილი ეწოდება. ხელშეკრულება მიმღები შვილობილობის ოჯახის წევრებს შორის ფორმდება მარტივი წერილობითი ფორმით. შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად უნდა მოიცავდეს: ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პირობებს, დედობილ-მამობილის უფლებებსა და მოვალეობებს, შვილობილზე ზრუნვის ხარჯების ანაზღაურებისა და დედობილ-მამობილის შრომის ანაზღაურების ოდენობას, მხარეთა პასუხისმგებლობასა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.
მინდობით აღზრდა წყდება შემდეგ შემთხვევებში: ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ მისი გაგრძელება არ მოხდა; დედობილის/მამობილის მიერ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შესახებ განცხადების გაკეთებისას; დედობილის/მამობილის

[31] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 301-302

გარდაცვალებისას; ბავშვის გარდაცვალებისას; მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას; მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანისას; თუ მინდობით აღსაზრდელი გახდა სრულწლოვანი; თუ მინდობით აღსაზრდელი დაქორწინდა; მიმღები ოჯახის ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მინდობით აღსაზრდელსა და მიმღები ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, თუ მიმღებ ოჯახში შექმნილია მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო; თუ მინდობით აღზრდა შეწყვეტილ იქნა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს ზომებს ბავშვის ალტერნატიული განთავსების უზრუნველსაყოფად. [32] შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვა. მასში ცვლილებების და დამატებების შესატანად აუცილებელია მხარეთა შეთანხმება.[33] მინდობით აღზრდა საკანონმდებლო და ეროვნულ დონეზე 2006 წლიდან მოქმედებს. მინდობით აღზრდა გულისხმობს "სახელმწიფოსა და მინდობით აღმხრდელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ავალდებულებს მინდობით აღმზრდელს გარკვეული ვადით უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა".[34] სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობა საკანონმდებლო და ეროვნულ დონეზე ეკისრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით. ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსებამდე ტერიტორიული სერვისცენტრის სოციალური მუშაკი ამოწმებს ბავშვისა და ოჯახის თავსებადობის კრიტერიუმებს, როგორიცაა ასაკობრივი სხვაობა, ეროვნება, რელიგიური კუთვნილება, რამდენად შესწევს მიმღებ ოჯახს უნარი დააკმაყოფილოს ბავშვის საჭიროებები და ხელი შეუწყოს მის განვითარებასა და სოციალიზაციას. საქართველოს ბავშვზე ზრუნვის სისტემა არ გამოირჩევა ბევრი სერვისით.[35] თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში საქართველოს, როგორც ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად იქცა დიდი ინსტიტუციების დახურვა და მის ნაცვლად ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდა. რეფორმა მოიცავს მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინოდბით აღზრდის პროგრამას, საიდანაც პრიორიტეტი ენიჭება მინდობით აღზრდას, ვინაიდან მზრუნველობამოკლებულ მინდობით და აღზრდა მიტოვების თავისი რისკის არსით ქვეშ „ხელს მყოფი უწყობს

[32] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება No51/ნ მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ. მ. 17 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1008793?publication=0 ;

[33] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), თბ., გამომც. „მერიდიანი", 2013, იქვე, გვ. 305

[34] საქართველოს კანონი მინდობით აღზრდის შესახებ, 2005

[35] საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017

ბავშვებისთვის ბიოლოგიური ოჯახთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში აღზრდას“.[36]

გამომდინარე იქიდან, რომ მინდობით აღზრდას აქვს რამდენიმე წლიანი ისტორია საქართველოში და არ გამოირჩევა სამეცნიერო კვლევების სიმდიდრით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ პროგრამის განხორციელების თავისებურებები და მოვახდინოთ მისი შედარება საერთაშორისო პრაქტიკასთან.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოკვეთოს ის გამოწვევები, რაც მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართულ მხარეებს აქვთ. მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით გაანალიზოს და შეისწავლოს მინდობით აღზრდაში ჩართული მხარეებთან მუშაობისა და განვითარების თავისებურებები. შესაძლებლობის ფარგლებში მოვახდინოთ საერთაშორიოს დოკუმენტების ანალიზი, შედარება ქართულ პრაქტიკასთან.

საერთაშორისო დოკუმენტებიდან აღსანიშნავია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპები დოკუმენტი ხაზს უსვამს ბიოლოგიური ოჯახის მნიშვნელობას და სოციალური მუშაობის წარმართვას, როგორიცა „ჭიშკრის დარაჯობა“. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბავშვებმა შეინარჩუნონ უფლება ცხოვრობდნენ ბიოლოგიურ ოჯახებში.[37] აღნიშნული პრინციპებიდან ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გასათვალისწინებელი მოთხოვნებია: ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში განთავსებისას უნდა მოხდეს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინება, მინდობით აღმზრდელის ოჯახი და ბიოლოგიური ოჯახი ტერიტორიულად ახლო უნდა მდებარეობდეს; მინიმუმამდე იქნეს შემცირებული სკოლისა და საგანმანათლებლო დაწესებულების შეცვლის საჭიროება ზრუნვის სისტემაში გადასვლისას. ბავშვის დაცვა ყოველგვარი ძალადობისა და უგულებელყოფისგან, მინდობით აღსაზრდელს უნდა ჰქონდეს რწმენისა და რელიგიის თავისუფლად გამოხატვის საშუალება და ყველაზე მთავარი - ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში რაც შეიძლება მოკლე დროით უნდა დარჩეს ბავშვი.

რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მინდობითი აღმზრდელების უწყვეტი ტრენინგების ჩატარების მნიშვნელობასა და ბავშვთა დაცვისთვის სისტემურ მონიტორინგს თუმცა ყველაზე მთავარი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც იცავს მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების უფლებებს, ბავშვის უფლებათა კონვენციაა. [38]კონვენციის ძირითადი უფლებები შეგვიძლია ოთხ კატეგორიად გავაერთიანოთ:

---

[36] სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019

[37] სამეცნიერო სტატია (2014) ფაქტობრივი ცნობა „შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში“ სტატიის ავტორი: ნინო კალანდაძე.

[38] ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია (ჰააგა, 1993) XVII სესია, შემაჯამებელი აქტი (ამონაკრები).

1 სიცოცხლე — მომსახურებით ყველა ბავშვს სარგებლობის, აქვს სიცოცხლის, სუფთა წყლითა გადარჩენის, და სამედიცინო სანიტარული სისტემის სარგებლობის უფლება.
2 განვითარება - ბავშვებს უფლება აქვთ განათლების მიღების, განვითარების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად გამოვლენის უფლება.
3 დაცვა - ბავშვებს აქვთ უფლება იყვნენ დაცული ყოველგვარი ძალადობისგან, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, უგულებელყოფისგან და ექსპლუატაციისგან.
4 მონაწილეობა - ყველა ბავშვს აქვს უფლება გააჩნდეს და გამოხატოს თავისუფლად საკუთარი აზრი, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ეხებათ; ხელმისაწვდომი იყოს მათთვის ინფორმაცია მინდობით აღზრდის პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლის დაცვით, რომელიც ხაზს უსვამს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებას იყვნენ დაცულები.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თვალსაზრისით, პერიოდულად უნდა ხდებოდეს მინდობით აღსაზრდელების პირობების შეფასება და მათი კეთილდღეობის შესწავლა. კონვენციაში წარმოდგენილი უფლებები ეხება ყველა ბავშვს დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე; ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას პირველად ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებსა და მათი დაცვის უზრუნველყოფას; ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება; გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის შეხედულებები ნებისმიერ საკითხთან მიმართებით დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოს, ან რომელსაც არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მათ (ბავშვებს) განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვთ. გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის (CRC) ძირითადი სტანდარტების „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სერვისების მინიმალური რეგიონალური სტანდარტები“ მე-4 სტანდარტის მიხედვით რეგულარული ტრენინგების ჩატარება მიმღები მშობლებისთვის სავალდებულოა. ამ დოკუმენტის თანახმად, ეროვნულ დონეზე შემუშავებული ტრენინგ-მოდული უნდა მოიცავდეს მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების აღზრდასა და საჭიროებებთან დაკავშირებულ სისტემურ მიმართულებებს. შიდა ეროვნული დოკუმენტი საშუალებას უნდა იძლეოდეს მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას ყველა აღმზრდელისთვის .[39]

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ „ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებასა და მონიტორინგს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მომსახურების სამინიტროს სააგენტოს

[39] ჰააგის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 1993, მ. 4.
http://www.parliament.ge/files/1359_21958_142476_haagissaerTaSorisokerZosamarTliskonferenciakonvenciasaerTaSorisogaSv_.pdf ;

დაქვემდებარებაში ტერიტორიული მოქმედი ორგანოები სსიპ სოციალური ახორციელებენ.
კანონში განხილულია პროგრამის განხორციელების სამიზნე ჯგუფები, პროცედურები, მინდობით აღმზრდელის უფლებები და მოვალეობები საქართველოში მინდობით აღზრდის სტანარტების შემუშავება და პრაქტიკაში იმპლემენტაცია 2017 წლის დეკემბერში მოხდა. დოკუმენტში გაწერილია სოციალური მუშაკისა და მინდობით აღმზრდელის როლი, ბავშვის ძირითადი უფლებები — ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, დაცვა ყოველგვარი ძალადობისა და უგულებელყოფისგან, განათლების ხელმისაწვდომობა, მონიტორინგის განხორციელების პროცედურები და მინდობით აღზრდის წარმოებისას საჭირო დოკუმენტაციის არსებობა. მინდობით აღზრდის პროგრამის წარმატებით განხორცელებაში დიდი წვლილი შეაქვს მინდობით აღმზრდელის, ბიოლოგიური მშობლების, ბავშვისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებულ და წარმატებულ ურთიერთ თანამშრომლობას.მიდნობით აღზრდაში მყოფი ბავშვის განვითარებაზე გავალენას ახდენს არა მარტო მინდობით აღმზრდელის ოჯახის სტაბილურობა, არამედ მინდობით აღმზრდელისა და სოციალური მუშაკის ურთიერთობაც.

თავი II. გაშვილების ფსიქო-სოციალური ასპექტები

2.1 მშობლების, მშვილებლების და ნაშვილების უფლება-მოვალეობები

მშობლებს დიდი პასუხიმგებლობა ეკისრებათ შვილების მიმართ.. ისინი ვალდებულნი არიან სათანადოდ არჩინონ და აღზარდონ შვილები,, ეს მხოლოდ მორალის და ზნეობრივი ფორმების გამო არა ეს ყველაფერი განმტკიცებულია კანონით. მშობლებს შეუძლიათ განსაზღვრონ სად და ვისთან ერთად იცხოვრებენ მათი შვილები. მშობლის პირადი მოვალეობაა უზრუნველყოს შვილის უფლებების დაცვა,ასევე მშობელი ვალდებულია დაიცვას შვილის ინტერესები, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. იგი ვალდებულია არჩინოს შვილი, სანამ იგი არასრულწლოვანი და შესაბამისად, შრომისუუნაროა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არასრულწლოვანს საკუთარი შრომით აქვს შემოსავალი მშობელი მისი რჩენის ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება. ვინაიდან კანონი ბავშვის ინტერესების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს იმ მშობლების წინააღმდეგ რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენაზე და აღზრდაზე.თუმცა, მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება შეზღუდოს მშობლის უფლებები.
მშობლის უფლების ჩამორთმევა არის უკიდურესი ზომა და ყველაზე მძიმე სასჯელი,

რაც შეიძლება მშობლის მიმართ იყოს გამოყენებული, ვინაიდან მშობლის უფლების ჩამორთმევით , მშობელი კარგავს ყველანაირ უფლებას თავის შვილზე. შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ბევრად არის დამოკიდებული ბავშვის მშობლების სურვილზე. თუ ბავშვს ჰყავს მშობლები და მათ არა აქვთ ჩამორთმეული ან შეზღუდული მშობლის უფლება-მოვალეობები, ისინი თანხმობას გამოხატავენ წერილობითი ფორმით. მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მშობელი წარუდგენს განცხადებას შვილის გაშვილების თაობაზე. განცხადებაში მშობლის ნება ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ან მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ ორი ფორმით გამოიხატება. მათგან ერთია პირველადი და მეორე კი ძირითადი. პირველად ფორმაში აისახება მშობლებისა და ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები. მას თან ახლავს წერილობითი განმარტებები მშობლის უფლებამოვალეობათა შესრულებისა და კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გამოყენების შესახებ.

ძირითადი ფორმის შევსების შემდეგ, რომელშიც მშობლების საბოლოო გადაწყვეტილება დასტურდება, მშობლის უფლება-მოვალეობა შეჩერებულად ჩაითვლება და ისინი მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს გადაეცემა. სასამართლო ასეთ შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოიტანს გადაწყვეტილებას ბავშვის მშობლებისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევის შესახებ. მშობელი ბავშვის გაშვილებაზე თანხმობას, ჩვეულებრივ იმ შემთხვევაში იძლევა, როცა დარწმუნებულია, რომ მშვილებელთან ბავშვის აღსაზრდელად უკეთესი პირობები არსებობს და მის მომავალს ცუდი არაფერი ემუქრება. თუ პირველადი ფორმის შევსების მიუხედავად, კანონით განსაზღვრულ ვადაში მშობელი არ გამოცხადდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში თავისი საბოლოო გადაწყვეტილების დასადასტურებლად და ახალშობილი ბავშვი იმყოფება მზრუნველობის გარეშე, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო მშობიარობიდან არა უადრეს 6 კვირისა, მიმართავს სასამართლოს მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები სხვაგან ცხოვრობენ, მაშინ წერილობითი თანხმობა დამოწმებული უნდა იქნეს დადგენილი წესით. როცა გამშვილებელი მარტოხელა მშობელია, საკმარისია მარტო მისი თანხმობა.[40] ბავშვის გაშვილება შეიძლება მოხდეს მშობლების თანხმობის გარეშეც, მაშინ როცა თანხმობის მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია ან თანხმობის მიღებას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია. კანონი ზუსტად განსაზღვრავს მშობლების თანხმობის გარეშე ბავშვის გაშვილების საფუძვლებს, ესენია:

1. მშობლის აღიარება ქმედუუნაროდ;
2. მშობლის გამოცხადება უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
3. მშობლისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევა;

[40] რ. და ე. შენგელია ,,საოჯახო სამართალი“- თბ. 2009წელი. გვ.312.

4. მიტოვებული ბავშვის აღიარება.[41]

ბავშვის გაშვილებისას მის სურვილს ათი წლის ასაკამდე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კანონი კატეგორიულად კრძალავს შვილად აყვანას, თუ ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ამის წინააღმდეგია. იგი შეიძლება წინააღმდეგი იყოს არა მარტო რომელიმე კონკრეტულ პირზე მისი გაშვილებისა, არამედ საერთოდ გაშვილებისა. იმ შემთხვევაში, თუ ათ წელს მიღწეული ბავშვი შვილად ამყვანის ოჯახში ცხოვრობდა და ასეთ პირს თავის მშობლად თვლიდა შვილად აყვანის შესახებ საკითხის დაყენებამდე, შვილება შეიძლება შვილად ასაყვანი ბავშვის თანხმობის გარეშეც. ამ დროს ხდება ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობათა იურიდიული გაფორმება. შვილად აყვანისას მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობათა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ თავიანთი ინტერესების შესაბამისად განხორციელდეს პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები. ეს ძირითადად ეხება ნაშვილებისათვის გვარისა და სახელის მიკუთვნების საკითხს. შვილად აყვანისას ბავშვისათვის გვარის გამოცვლა სავალდებულო არ არის, მშვილებლის თხოვნით შეიძლება მიეკუთვნოს ნაშვილებს მისი გვარი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა შვილად აყვანის ფაქტის გახმაურების რეალური საშიშროება არსებობს, მშვილებლის თხოვნით შესაძლებელია ნაშვილებისათვის სახელის შეცვლაც. თუმცა ამ დროს მხედველობაში მიიღება ნაშვილების სურვილიც, თუ მას ამ დროისათვის ათი წელი შეუსრულდა. შვილად აყვანა, როგორც იურიდიული ფაქტი, ნაშვილებისათვის იწვევს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. ამ დროს წარმოიშობა ახალი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი ნაშვილების მონაწილეობით. შვილად აყვანა თავისი შედეგებით უთანაბრდება სისხლით ნათესაობას. მიუხედავად იმისა, მშვილებლები გატარებული არიან თუ არა ნაშვილების მშობლებად, ან ნაშვილები თავის ძველ გვარზე რჩება თუ მას იცვლის, შვილად აყვანილი პირი ყველა შემთხვევაში იძენს პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს როგორც მშვილებლის, ისე მისი ნათესავების მიმართ. შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგების ნაწილი ეხება ნაშვილების სამართლებრივ ურთიერთობას ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ წარმოშობით ნათესავებთან. საერთო წესის მიხედვით ნაშვილები ყოველგვარ სამართლებრივ კავშირს კარგავს ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ ნათესავებთან. ეს დებულება ყოველგვარი პირობის გარეშე ძალაშია მაშინ, როცა მშვილებლის როლში მეუღლეები გამოდიან.

ნაშვილები, ასეთ შემთხვევაში სრულად კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ. შვილად აყვანის ინსტიტუტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალობის უზრუნველყოფის საკითხებს. ამაზე სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას სამოქალაქო კოდექსი და კანონიც შვილად აყვანის შესახებ. შვილად აყვანისას მშვილებელი ცდილობს არავინ და განსაკუთრებით

[41] საქართველოს კანონი „შვილად აყვანის შესახებ“-2007 წელი, მუხლი 17-ე.

ნაშვილებმა არ გაიგოს, რომ იგი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მშობელი. ამის უზრუნველყოფა ნაწილობრივ შესაძლებელია მშვილებლების მშობლებად ჩაწერის და ნაშვილებისათვის სახელის და გვარის გამოცვლის უფლების განხორციელებით. სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანო, მართალია გასცემს ისეთ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია იმის დადგენა, ბავშვი ღვიძლი შვილია თუ ნაშვილები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისპობა შვილად აყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტები. რეგისტრაციის წიგნში კეთდება სათანადო ჩანაწერები, რომლითაც დასტურდება შვილად აყვანის ფაქტი, ნაშვილების ნამდვილი დაბადების ადგილი და თარიღი, სასამართლოს შესახებ, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. ცნობები შვილად აყვანის შესახებ შეიძლება გაიცეს სამართალდამცავი ორგანოების ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე და ისიც იმ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მათ წარმოებაში იმყოფება.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა შვილად აყვანის ფაქტი, მშვილებლისათვის და ზოგჯერ თვით ნაშვილებისათვის ტრავმის მიყენების მიზნით, შეგნებულად ამჟღავნებს მის საიდუმლოებას, რაც ყოვლად დაუშვებელია. უზნეობასთან ერთად იგი სისხლისსამართლებრივ დარღვევასაც წარმოადგენს. განსაკუთრებით მიუღებელია ასეთი მოქმედება იმ პირთა მხრივ, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის სახით მონაწილეობას ღებულობდნენ შვილად აყვანაში. მშვილებლისა და ნაშვილების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი არა მარტო კრძალავს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას, არამედ ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას.[42]

2.2. მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მდგომარეობა საქართველოში ფსიქო-სოციალური ასპექტები

საქართველოში შვილის აყვანას დაახლოებით ათასი ოჯახი ელოდება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი დაახლოებით 396 -ს აქვს აქედან 347 უნარშეზღუდულია, ისინი როგორც წესი არავის მიყავს. დანარჩენი ბავშვების გაშვილება ვერ ხერხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ არ აქვთ მინიჭებული გასაშვილებელი ბავშვების სტატუსი. სახალხო დამცველის 2020 წლის მეორე ნახევრის ანგარიშის მიხედვით ქვეყანაში აღინიშნება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებული ბავშვების რაოდენობის მკვეთრი შემცირება 2004 წლიდან დღემდე (6200 ბავშვიდან – 2276 ბავშვამდე (ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში), მათ შორის, განვითარების შეფერხების მქონე 312 ბავშვი). სახელმწიფო სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახების დახმარებას, რეინტეგრაციასა და მინდობით აღზრდის მომსახურებას, გაიზარდა 51-დან (2006 წ.) 300-მდე (2020 წ.). ასევე აღინიშნება

[42] რ. და ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“- თბ. 2009 წელი. გვ. 327.

სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ ბავშვთა დახმარებისა და ზრუნვის ალტერნატიული ფორმების რაოდენობის ზრდა (მინდობით აღზრდა, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) [43] ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების აზრით ასეთ ბავშვებში ჭარბობს: სუიციდისკენ მიდრეკილება, ფსიქოპატია, სოცილაური დეპრივაცია, განათლების დონით ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან იმ ბავშვებს რომლებიც ოჯახურ გარემოში იზრდებიან. დანიშნულებაც შესაბამისია: ესაჭიროება უსაფრთხო გარემო, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ინდივიდუალური ფსიქოთერაპია, პედაგოგიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრა.

სხვადასხვა ინსტიტუტებში მოთავსებული მზრუნველობამოკლებული ბავშვები განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ, რადგან არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი ხშირად, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობებია. ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი მოიაზრება მსხვერპლად, ამიტომაც მას ეკისრება ალტერნატიული სანქციები [44]. ინსტიტუციაში მყოფი ბავშვების უმრავლესობას ჰყავს მშობლები. თუ ისინი აცხადებენ, რომ დროებით ტოვებენ ბავშვს შემდეგ კი არ აკითხავენ, სანამ მას მშობლის უფლებას არ ჩამოართმევენ ბავშვის გაშვილება შეუძლებელია. სავარაუდოდ, ახალი რეგულაციით, დაწესდება ზედა ზღვარი და სხვაობა მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის 50 წელს არ აღემატება. კანონი ასევე განსაზღვრავს მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობის საკითხს: მშვილებელსა და გასაშვილებელს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. საპატიო მიზეზის არსებობისას, სასამართლომ შესაძლებელია შეცვალოს ეს ასაკობრივი სხვაობა; გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესობა ენიჭება ნათესავს, რომლისთვისაც გასაშვილებელი ბავშვი არის და, ძმა, შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი, გერის ძმისშვილი, გერის დისშვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძა, დეიდა, მამიდა, ან რომელიმე მათგანის შვილი, გერი. შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს, ასევე, მიმღებ ოჯახს – დედობილს ან მამობილს ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემიდან არა უადრეს 6 თვისა. შვილად აყვანის უპირატესი უფლებით სარგებლობს ის მშვილებელი, რომელსაც უკვე ჰყავს შვილად აყვანილი გასაშვილებელი ბავშვის და ან ძმა. შვილად აყვანის უპირატესი უფლება გამოიყენება მაშინაც, თუკი შვილად აყვანის თაობაზე ბავშვის ბიოლოგიური მშობელი და მშვილებელი სააგენტოს ერთობლივად მიმართავენ.

კანონი ეხება ისეთ მტკივნეულ თემასაც, როგორიცაა შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა, ან ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა - ასეთი ქმედება აკრძალულია. ასევე, აკრძალულია გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საჯარო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება. შვილად აყვანა არ შეიძლება პირობით, ვადის

[43] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 131.

[44] იხ. კვლევა არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სახელმწიფო მმართველობის სკოლა, თბილისი 2004 წ. გვ. 37.

მითითებით, ან წარმომადგენლის მეშვეობით. დაუშვებელია და-ძმის, დების ან ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ ინტერესებს. საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ან მისი შვილად აყვანა საქართველოს მოქალაქის ან/და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ. უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია საქართველოდან იშვილოს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი, რომელიც რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვეში ვერ იშვილა საქართველოს მოქალაქემ. შვილად აყვანის მსურველმა თავდაპირველად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალს, რეგისტრირებული, ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დარეგისტრირდეს ბავშვის შვილად აყვანის მსურველად. შემდეგ უნდა წარადგინოს ბავშვის შვილად აყვანის მსურველ პირთა განცხადების შევსებული ფორმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს რეგისტრაციის, ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადების მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, სოციალური მუშაკი განახორციელებს ბავშვის შვილად აყვანის მსურველ ოჯახთა (ან პირთა) პირველად შეფასებას და წერს დასკვნას. თუკი პირველადი შეფასება უარყოფითია, სოციალური მუშაკის დასკვნის შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, მშვილებელ ოჯახთა/პირთა აღრიცხვაზე უარის თქმის თაობაზე. ხოლო, თუ პირველადი შეფასება დადებითია, სოციალური მუშაკი, არაუმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ამზადებს ოჯახის/პირის სრულ შეფასებას და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოსათვის წარსადგენ დასკვნას. თუ სრული შეფასება დადებითია, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანის მსურველი ოჯახის/პირის რეესტრში აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე.

კანონი ადგენს იმ კატეგორიასაც, ვინც არ შეიძლება იყოს მშვილებელი პირი კერძოდ, ასეთია პირი: რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი პირი, იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე/მზრუნველი, ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა პირი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო; გარდა ამისა, აკრძალვა შეეხება პირს, რომელსაც აღენიშნება ტუბერკულოზი (აქტიური და ქრონიკული) ნებისმიერი ლოკალიზაციის; შინაგანი ორგანოების დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში; ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მყარი, მნიშვნელოვნად გამოხატული დაავადებები და დაზიანებები, რაც გამოიწვევს მოძრაობასა და კოორდინაციის მნიშვნელოვან დარღვევას; ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი, ონკოლოგიური დაავადებები; ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი; ინფექციური დაავადებები, მათი დისპანსერული აღრიცხვიდან მოხსნამდე; ფსიქიკური დაავადებები, რომლის დროსაც ავადმყოფი, არსებული წესების გათვალისწინებით, მიჩნეულია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად; ყველა დაავადება და

ტრავმა, რომელმაც გამოიწვია მკვეთრად, ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, რომელიც ახდენს გავლენას ბავშვის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებაზე; პირი, რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დაედო მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი, ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სხვა.

ბავშვის შვილად აყვანისათვის საჭიროა მეუღლის თანხმობა, თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს; საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობისმოწმობა) ასლი; ქორწინების მოწმობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი; ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა; სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა; ნასამართლობის შესახებ ცნობა. აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილ უნდა იყოს ბავშვის შეთავაზების შემდგომ. ბავშვის შეთავაზებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა, მშვილებელი ოჯახი/ პირი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის აყვანის შესახებ. აღნიშნული ვადის გადაცილება ჩაითვლება შეთავაზებული ბავშვის აყვანაზე უარის თქმად.

2.3. საკანონმდებლო ხარვეზები შვილად აყვანის პროცესში და მათი აღმოფხვრის გზები

იმისათვის, რომ საკანონმდებლო ხარვეზები შვილად აყვანის პროცესში აღმოიფხვრას საჭიროა მომსახურებათა მრავალმხრივი დახვეწა: საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება, მინდობით აღზრდის სერვისის გაუმჯობესება, პრევენციული დღის ცენტრების გადამზადება, სპეციალიზებული ზრუნვისა და სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების შეფასება და სახელმწიფოსათვის კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა. საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზმა აჩვენა, რომ გარკვეული ხარვეზები აფერხებდა მინდობით აღზრდის სერვისში ბავშვების განთავსებას და შესაბამისად გაიცა რეკომენდაციები ალტერნატიულ სერვისებში ბავშვის განთავსების გამარტივების შესახებ. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ე.წ. დროებით მიტოვების შემთხვევებზე, როგორც დეინსტიტუციონალიზაციის შემაფერხებელ გარემოებაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების დეპარტამენტისათვის მომზადებული რეკომენდაციები შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მოიცავდა ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია; მიტოვების რისკის მქონე ოჯახებისათვის სერვისის გაძლიერება; დედათა და ჩვილთა თავშესაფარის სერვისის მოცულობის რაოდენობის გაზრდა კრიზისული ინტერვენციის სერვისის კუთხით – პრევენციული ფონდის, სახელმწიფო პრევენციული სერვისები, დროებითი ჩამნაცვლებელი მოვლის სერვისის განვითარება; გადაუდებელი მინდობით აღზრდის გახანგრძლივება და დაფინანსება და

წინასწარ აღჭურვა ჩვილების მისაღებად და სხვ. ცვლილებების ადეკვატურად დანერგვის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანურ რესურსებზე ზრუნვას. კერძოდ, აქცენტი გაკეთდა ბავშვზე ზრუნვის სამართლებრივ საკითხებში ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების მიერ მოსამართლეებისა და სოციალური დაცვის სააგენტოს თანამშრომლების მომზადებასა და ეფექტური თანამშრომლობის გზების დასახვაზე. პარტნიორი ორგანიზაცია "საქართველოს ბავშვების" მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და გაანალიზებული ჩვილ ბავშვთა სახლში ბავშვების შედინების მიზეზები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, არსებული ალტერნატიული სერვისების ფორმები და მათი დაფინანსება. შედეგად შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები მინდობით აღზრდის, შვილად აყვანის კანონებისა და შშმ ბავშვების მინდობით აღზრდის დაფინანსების წესის ცვლილებებზე. აგრეთვე განისაზღვრა ჩვილ ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონელიზაციისათვის საჭირო დამატებითი ალტერნატიული სერვისების ფორმები და მოცულობა. აღნიშნული რეკომენდაციების განხილვის შედეგად საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ინიცირება გაუკეთა ზოგიერთ საკანონმდებლო ცვლილებებს და მიიღო გადაწყვეტილება ალტერნატიული ოჯახური ტიპის სერვისების დაფინანსების გაუმჯობესების შესახებ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ინიციატივის, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს", პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებიდა და „საქართველოს ბავშვების" ერთობლივი ადვოკატირების საფუძველზე სახელმწიფომ აღიარა ჩვილბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის პრიორიტეტულობა.[45]

ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად: „ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების,ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი, აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში". [46] თუ ჩვენ ზემოთხსენებულ დათქმასა და სსკ - ის 1245 - ე მუხლს შევადარებთ, დავინახავთ აშკარად შეუსაბამობას ტერმინებში, თუ კი ბავშვის საუკეთესო ინტერესი წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესს და მისი საუკეთესო ინტერესი ოჯახურ გარემოში ცხოვრებაა, და ვიცით, რომ ოჯახი არის ქორწინებაზე დამყარებული ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი და რატომ შეიძლება იყოს მშვილებლის განმარტებაში მშვილებელი იყოს ერთი პირი.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნორმა კორექტირებას საჭიროებს, რადგან ურთიერთგამომრიცხავი აზრებია და საჭიროა დაკონკრეტდეს ის ცალკე ერთი პირი ვინ შეიძლება იყოს, თუ ჩვენ სიტყვასიტყვით მშვილებლის განმარტებას მივყვებით,

[45] https://osgf.ge/voice/deinstitucionalizacia-b/?fbclid=IwAR0LUMPslcVpbRTwIi6wH2Ik2cmRwQ1T2eIdYGClAtEKAhxBPTpF5OtGZNs

[46] ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989) 20 ნოემბერი ძალაში შევიდა 02/09/1990.

არ არის ჩანაწერს სადაც მშვილებელი მხოლობით რიცხვშია ნახსენები, მოიხსენიება ან ოჯახი ან მშვილებლები, ცალკე პირი ნახსენები არაა, აქედან გამომდინარე უკეთესი იქნება და ბავშვის საუკეთესო ინტერესი არ დაირღვევა თუ კი მშვილებლის განმარტებაში მოიხსენიება მშვილებლები ან ოჯახი ცალკე პირი შეიძლება დაიშვას გამონაკლისის სახით და ასევე ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მაგალითად 7 წლამდე ბავშვის შვილად აყვანა არ იყოს დაშვებული მარტოხელა მამაკაცისთვის ხოლო ქალს შეეძლოს 7 წლამდე ასაკის ბავშვის აყვანა, ვინაიდან ამ ასაკამდე ბავშვს დედის სითბო და განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება. ჯერ კიდევ საბჭოთა სამართალი ითვალისწინებდა წინამდებარე რისკებს და საფრთხეებს და „ერთი პირის, მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში შვილობილი ინარჩუნებდა უფლებებს დედის სურვილით - თუ მშვილებელი მამაკაცი იყო, ან მამის სურვილით — თუ მშვილებელი ქალი იქნებოდა“[47] სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარეობს სხვა, კიდევ უფრო ძირეული პრობლემა, კანონში არა თუ განსაზღვრულია მშვილებლების ქორწინებაში ყოფნის მინიმალური ზღვარი არამედ თვითონ მოთხოვნაც არაა, იმისა, რომ ბავშვი უნდა აიყვანოს ქორწინებაში მყოფმა პირებმა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დათქმა საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას, ვინაიდან ამ ხერხით მშვილებლების რიგი გაიფილტრება და შესაძლოა შემცირდეს კიდეც.

ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში ქორწინების მინიმალური ზღვარი შვილად აყვანის მიზნებისთვის 5 წელია, სასურველი იქნება თუ კი საქართველოში ეს ზღვარი ორი ან სამი წელი მაინც იქნება დაწესებული.

თავი III. საერთაშორისო შვილება - გაშვილება

3.1. საერთაშორისო გაშვილება და მათი შემდგომი კონტროლი

დღესდღეობით ბავშვთა სახლში უამრავი მზრუნველობამოკლებული ბავშვია, რომელთა გაშვილებას კანონი არ კრძალავს. ასევე საქართველოს კონსტიტუციით დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. [48] საქართველოდან ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება, აგრეთვე უცხოელი ბავშვის საქართველოში შვილება სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული შესაძლებელია იმ კანონმდებლობის საერთაშორისო საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ ამ ურთიერთობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“ და ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

[47] ახვლედიანი ზ. (1988) მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი) თბილისი:„თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ გვ. 38

[48] საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი, მ. 30

აღნიშნული კონვენციები საფუძვლად დაედო საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფას. გაეროს კონვენციით, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და აღიარებენ, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილება შეიძლება გახდეს ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი აღსაზრდელად ვერ გადაეცემა ან ვერ მიებარება ოჯახს, რომელიც უზრუნველყოფდა მის აღზრდას ან შვილად აყვანას და თუ ბავშვის წარმოშობის ქვეყანაში რაიმე შესაფერისი მოვლის უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდა. [49]უზრუნველყოფენ ასევე, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილების შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს ისეთი გარანტიები და ნორმები, რომლებიც შვილად აყვანის მიმართ გამოიყენება ქვეყნის შიგნით. სწორედ ამ ნორმებს იზიარებს საქართველოს კანონიც „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და მკაცრად განსაზღვრავს, სწორედ ამ პირობების არსებობაა აუცილებელი საერთაშორისო გაშვილების პროცედურის დასაწყებად. სხვა ქვეყანაში ბავშვის გაშვილებამ, მასთან დაკავშირებულ პირებს არ უნდა მისცეს გაუმართლებელი ფინანსური შემოსავლები. სახელმწიფოებს შორის მიღწეული ორმხრივი და მრავალმხირივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გზით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხვა ქვეყანაში შვილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპეტენტური ორგანოების მიერ გადაწყვეტა. ამავე კონვეციით განსაზღვრულია შვილად აყვანის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები. [50]

ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მასზე ზრუნავდნენ მისი ღვიძლი მშობლები. მშობლებისა და ნათესავების მხრიდან ზრუნვის განუხორციელებლობის, ან არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება შეიძლება აიღოს სხვადასხვა დაწესებულებებმა ან ბავშვი იქნებს გაშვილებული კანონის ყველა მოთხოვნათა დაცვით. ბავშვისთვის გასაშვილებელის სტატუსის მინიჭება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, რომელსაც გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება,[51] რის საფუძველეც ხდება ბავშვის შესახებ არსებული მონაცემების აღნიცხვა გასაშვილებელ ბავშვთა რეესტრში. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებამდე ზოგიერთი კატეგორიის ბავშვს გასავლელი აქვს კანონით განსაზღვრული ეტაპები, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს მისი გაშვილება. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც საქმე ეხება ნაპოვარ ბავშვს, რომელსაც უნდა მიენიჭოს მიტოვებულის სტატუსი, რათა შემდგომში მოხდეს მისი მონაცემების აღრიცხვა რეესტრში. ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონში ზუსტად არის გათვალისწინებული ბავშის მიტოვებულად აღიარების შემთხვევები და საფუძვლები და ასევე, ის კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მშვილებელი.[52]

საერთაშორისო გაშვილება ხდება ,,ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების

---

[49] გაეროს კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ, 1989, მ. 21. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 ;

[50] ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2006. გვ. 325

[51] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N281/ნ ,,ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ"

[52] საქართველოს კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ", პარლამენტი, კანონი N7981

სფეროში თანამშრომლობის შესახებ" ჰააგის კონვენციისა და გაეროს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად. ,,სხვა ქვეყანაში გაშვილება შეიძლება გახდეს ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება თუ ბავშვი აღსაზრდელად ვერ გადაეცემა ან ვერ მიებარება ოჯახს, რომელიც უზრუნველყოფს მის აღზრდას ან შვილად აყვანას. ჰააგის კონვენციის პირველ მუხლში ვკითხულობთ, რომ ბავშვის გაშვილება საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლით აღიარებული მისი ძირითადი უფლებების დაცვით და მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო გაშვილებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰააგის კონვენცია ბავშვის ინტერესების დაცვის საუკეთესო კონვენციადაა აღიარებული აღნიშნულ სფეროში და იგი არის ხელისშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არსებული შეთანხმება საერთაშორისო გაშვილების პროცედურებზე. [53]

საქართველოში საერთაშორისო გაშვილების საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ". კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ საერთაშორისო გაშვილება მოხდეს მაშინ, როდესაც ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში არის შეუძლებელი ან შეუძლებელია ბავშვი გაშვილდეს საქართველოს მოქალაქეზე ან/და საქართელოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირზე. საერთაშორისო გაშვილების განმახორციელებელი ორგანო – სააგენტო ამ მიზნით, უკავშრდება კონვენციის ხელისშემკვრელ მხარეებს და ცვლის მათთან ინფორმაციას გასაშვილებელი ბავშვების შესახებ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში შეიძლება ბავშვების გაშვილება. საერთაშორისო გაშვილება ხდება კოვენციის არაწევრ სახელმწიფოებშიც. საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ, ანუ ქართველი ბავშის საერთაშორისო დონეზე გაშვილება დასაშვებია, თუ ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირი აღრიცხულია მშვილებელთა რეესტრში და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: არ აქვს ჩამორთმეული მშობლის უფლება, არ აქვს შეზღუდული მშობლის უფლება-მოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისთვის ან არაჯეროვანი განხორციელების გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობა უწყობს ხელს შვილად აყვანის, არ არის მსჯავრდებული სასამართლოს მიერ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მშვილებელთა რეესტრში აღრიცხვა ხდება უშუალოდ ამ მოქალაქეების ან მათი წარამომადგენლების მიერ გაკეთებული მიმართვის შედეგად. ამასთანავე აუცილებელია, რომ ყველა საჭირო დოკუმენტაცია იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული. საერთაშოროსო გაშვილებას კი ექვემდებარება ბავშვი, რომელიც აღრიცხვაზეა რეესტრში, როგორც გასაშვილებელი ბავშის სტატუსის მქონე და რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვის ვადაში შვილად არ აიყვანა საქართველოს მოქალაქემ. გარდა ზემოთჩამოთვლილი პირობებისა, ბავშის საერთაშორისო დონეზე გასაშვილებლად საჭირო არის ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის

[53] ბავშვთა უფლებათა კონვენცია – გაერო, 1989 წელი

შესახებ, რომლის მოპოვებაც ხდება ექსპერტიზის ჩატარების შედეგად არსებული დასკვნის საფუძველზე.ბავშვის უცხოეთში გაშვილების პროცედურა იწყება მას შემდეგ, რაც სააგენტო ჩაატარებს კვლევას, რომლის საფუძველზეც მომზადებულ დასკვნაში აღნიშნავს მიზეზებს, რის გამოც ვერ მოხდა საქართველოში ბავშვისთვის მშვილებელის მოძებნა.[54]რაც შეეხება საერთაშორისო გაშვილებას, საქართველოს ცენტრალური ორგანო დებს ხელშეკრულებას მიმღები ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ან აკრედიტებულ ორგანოსთან, შემდგომი კონტროლის მიზნით, რის საფუძველზეც მიმღები ხელისუფლება ან აკრედიტებული სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო ვალდებულია, პირველ წელს, ბავშვის შვილად აყვანიდან ყოველი სამი თვის განმავლობაში, ხოლო მომდევნო წლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე წელიწადში ერთხელ, წარუდგინოს ანგარიში საქართველოს ცენტრალურ ორგანოს სპეციალური ფორმით, რომელიც დამტკიცებულია სამინისტროს მიერ, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მშვილებლებთან და მათი ოჯახის წევრებთან ნაშვილების ადაპტაციას, მისი ჯანმრთელობის და საცხოვრებელი პირობების შესახებ. საქართველოს ცენტრალური ორგანო თუ ჩათვლის, რომ ბავშვის დატოვება მშვილებლებთან არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ის უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

საერთაშორისო გაშვილებისას, ისევე, როგრც საქართველოს ტერიტორიაზე გაშვილების შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. სასამართლოში გასაშვილებელი ბავშის ინტერესებს იცავს სააგენტოს უფლებამოსილი პირი. საერთაშორისო გაშვილების პროცედურის დასრულების შემდეგ, სააგენტო შესაბამის ინფორმაციას აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. რაც შეეხება მინდობით აღზრდას, ეს გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის დროებით მოვლასა და აღზრდას, რომელის სანაცვლოდაც, მიმღები ოჯახები სახელმწიფოსგან იღებენ ფულად სოციალურ დახმარებას, რომელიც, იდეაში განკუთვნილი არის შვილობილის მოსავლელად და აღსაზღდელად. მინდობით აღზრდა მზრუნველოვამოკლებული ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა, რაც ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას, მის სოციალიზაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში. შვილად აყვანასა და მინდობით აღზრდას შორის სხვაობა თანმდევ სამართლებრივ შედეგებშია: შვილად აყვანის დროს მშვილებლები ბავშვის მშობლები ხდებიან და მათი ურთიერთობა შვილად აყვანილთან ისეთივე, როგორი ურთიერთობაც არსებობს ღვიძლ მშოვლებსა და შვილებს შორის. მინდობით აღზრდის დროს კი, ბენფიციარი არ კარგავს თავის ბიოლოგიურ ოჯახს და იგი ოჯახიდან გამოდის გარკვეული ვადით, რომელსაც ხელშეკრულება განსაზღვრავს. ხელშეკრულება განსაზღვრავს ასევე იმ თანხის

[54] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N50/ნ „შვილად აყვანის პროცედურების და ფორმების დამტკიცების შესახებ"

ოდენობასაც, რომელსაც სახელმწიფო უხდის მიმღებ ოჯახს გაწეული სამუშაოსთვის.[55] როგორც უკვე აღინიშნა, შვილად აყვანა დაიშვება არასრულწლოვანის ინტერესებისა და ზნეობის ნორმების გათვალისწინებით. ურთიერთობა მშვილებელსა და ნაშვილებს შორის სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება, ვინაიდან აღნიშნული ურთიერთობის კონტროლი მიდი მონაწილეთა ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. გაშვილების შემდგომი კონტროლიც სწორედ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არსებული ურთიერთობისას შვილად აყვანილის ინტერესების დაცვის მექანიზმია. გაეროს 1986 წლის ,,საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სოციალურსამართლებრივი პრინციპების დეკლარაციაში" განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში. დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს საზღვარგარეთ გაშვილებულ ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკა, დააწესოს მკაცრი კონტროლი და შეიმუშაოს ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართელოს კანონმდებლობაში გაშვილების შემდგომი კონტროლის საკმაოდ მწირი რეგულაციები არსებობს. ამის ნათელი მაგალითია ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონში არსებული მხოლოდ ერთი მუხლი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო გაშვილების შემდგომ ცენტრალური ორგანო ვალდებულია მიმღები ქვეყნის ცენტრალურ ორგანოს სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე მოსთხოვოს საქართველოდან გაშვილებული ბავშვის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის მოწოდება მიმღები სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ, მანამ სანამ გაშვილებულ ბავშვს არ შეუსრულდება 18 წელი, ანუ საქართელოს კანონმდებლობის მიხედვით არ გახდება სრულწლოვანი. ეს მუხლი ეხება მხოლოდ საერთაშორისო გაშვილების შემდგომ კონტროლს, კანონმდებლობასი კი არაფერია ნათქვამი ეროვნულ დონეზე განხორციელებული გაშვილების კონტროლის შესახებ.[56]

მინდობით აღზრდი ინსტიტუტი ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელების თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს მის უარყოფით მხარეებზეც, კერძოდ, იმაზე, რომ მინდობით აღზრდის დროს ბავშვი მიმღებ მშვობლებთან რჩება გარკვეული დროით, ამ ვადას კი სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომელის ვადის გასვლის შემდეგაც ბენეფიციარი ტოვებს ოჯახს და ელოდება ახალ მშობლებს, რომლებიც იზრუნებენ მასზე. ცხადია, ასეთ დროს ბავშვს ვერ ექნება სრულყოფილი ოჯახური გარემოს შეგრძნება, რაც არღვევს მის უფლებას. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს გრძელვადიანი პოლიტიკა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის სწორად წარმართვაში ან მიიღოს ყველა ზომა

[55] 10. რომან შენგელია, საოჯახო სამართლის კანონთა კომენტარი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 1999 წ

[56] ,,საერთაშორისო და ეროვნუ დონეზე გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სოციალურსამართლებრივი პრინციპების დეკლარაცია".

იმისთვის, რომ ნაცვლად მინდობით აღზრდაში განთავსებისა, მოხდეს ბავშვის გაშვილება და მისი უზრუნველყოფა მუდმივი მზრუნველი ოჯახით, ან მოხდეს ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება.[57]

და ბოლოს, დადებითად უნდა შეფასდეს მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის სფეროში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული რეფორმები, განსაკუთრებით, კი გაშვილების პროცესის გამარტივება, მაგრამ ბავშვის უპირატესი უფლების განსახორციელებლად, საჭიროა კიდევ უფრო მეტი გაკეთდეს, რაც პირველ რიგში უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული სფეროებში გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავების გზით და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების მხრიდან მეტი ჩართულობით.[58]

3.2. შვილად აყვანის საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზე

შვილება რომ განხორციელდეს აუცილებლად უნდ იქნეს გათვალისწინებული როგორც, ბავშვის ისევე მშვილებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ვინაიდან ზოგიერთი უარყოფითი თვისებები შესაძლებელია მემკვიდრეობით გადაუვიდეს ბავშვს. ამიტომაც არის საჭირო ბავშის ჯანმრთელობის მდგომარეობის გულმოდგინედ შემოწმება. ჩეხეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს შემუშავებული აქვს მეთოდური მითითება, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ ბავშვი, რომელიც გასაშვილებელია უნდა იყოს ფიზიკურად და ფსიქიურად ჯანმრთელი, და ჰქონდეს ნორმალური განვითარების მონაცემები. ბავშვის ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სისხლისმიერი მშობლების შემოწმება (თუკი ისინი არსებობენ) რათა გამოკვლეულ იქნეს ბავშვის გენეტიკური დეფექტები, ასეთივე წესი მოქმედებდა 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის „შვილად აყვანის წესის შესახებ“, რომელიც მოითხოვდა შვილად ასაყვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას.

სამწუხაროდ შვილებას აფერხებს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთი დარღვევები, რომლებიც სერიოზულად აქვეითებენ ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს, ბავშვის შესაძლებლობების უნარს და კარგს არაფერს უქადიან მას მომავალში. [59]მაგალითად ისეთი ავადმყოფობა, როგორიცაა ნერვიული სისტემის დარღვევები, ჭკუასუსტობა, თანდაყოლილი სიფილისი და ა. შ. ასევე აღსანიშნავია შვილად აყვანის საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზეც, როგორი ბავშვი უნდა გაშვილდეს და ვისზე უნდა გაშვილდეს.

---

[57] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N51/ნ „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ”

[58] საქართველოს კანონი ,,მინდობით აღზრდის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, N5623

[59] ნ. ბოკერია, შვილების (შვილად აყვანის) სამართლებრივი საფუძვლები ქართულ სამართალში, ჟურნალი, „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998, გვ. 82-83

ბულგარეთი

ჰააგის კონვენციის წევრია ასევე ბულგარეთიც. აქ შვილად აყვანის საკითხები იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაშია, ბავშვი გაშვილდება მხოლოდ მაშინ , თუ ის არის ობოლი, მშობელს ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, მარტოხელა ფსიქიკურად დაავადებული მშობელი ჰყავს. გასაშვილებელი ბავშვი უნდა იყოს 1-დან 17 წლამდე ასაკის, ხოლო უნარშეზღუდული ბავშვი ნებისმიერი ასაკის. შვილად აყვანის მსურველი ოჯახი თხოვნით მიმართავს იუსტიციის სამინისტროს, სამინისტროს დადებითი პასუხის შემთხვევაში, ოჯახი წარადგენს საბუთებს სამინისტროში ექვსი თვის განმავლობაში, შეირჩევა ბავშვი. იუსტიციის სამინისტრო სწვალობს პოტენციური მშობლებისა და ასაყვანი ბავშვის დოსიებს, რის შედეგადაც მოხდება სავარაუდო ოჯახის შეხვედრა ბავშვთან. მშვილებელი უნდა იყოს 25 წლის მაინც. სხვაობა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უნდა იყოს მინიმუმ 15 წელი მაინც. შესაძლებელია მარტოხელა მშობელმაც აიყვანოს ბავშვი, ამ შემთხვევაში მშვილებლის სქესს მნიშვნელობა არ აქვს. არსებობს შეზღუდვა შვილად აყვანაზე გარკვეული დაავადების მქონე პირთათვის. აუცილებელია მშვილებელი არ იყოს მანამდე ნასამართლევი. ბავშვის აყვანის პროცედურა მოითხოვს გარკვეულ დროს. ოჯახს რომელსაც სურს აიყვანოს 2- დან 7 წლამდე ბავშვი, მოცდის პერიოდი შეადგენს 3.5 წელს, 7-დან ზემოთ მოცდის პერიოდი 3.5 წელზე ნაკლებია, ხოლო უნარშეზღუდული ბავშვების შემთხვევაში-ყოველ კონკრეტულ ბავშვზე ინდივიდუალურია.[60]

საფრანგეთი

საფრანგეთში ბავშვის აყვანის მსურველი წყვილი უნდა იყოს დაქორწინებული მინიმუმ 2 წელი მაინც, ან თუ დაქორწინებულები არიან 2 წელზე ნაკლები დრო, მაშინ ორივე მეუღლე უნდა იყოს 28 წელზე მეტი ასაკის, მარტოხელა მშობელს შეუძლია ბავშვის აყვანა, თუ ის არის 28 წლის მაინც, ასაკის ზედა ზღვარი არ არის, შეზღუდვები არ წესდება, როცა ერთ მეუღლეს სურს მეორე მეუღლის ბავშვის აყვანა, ზოგადად სხვაობა მშვილებელსა და ნაშვილებს შორის უნდა იყოს მინიმუმ 15 წელი. მშობლის მიმართ არ არის დაწესებული ასევე შემოსავლის მინიმალური ზღვარი, თუმცა მშვილებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია ბავშვის რჩენა.

იტალია

[60] ნ.კალანდაძე, შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2014, გვ. 5

იტალიაც ასევე ჰააგის კონვენციის წევრია და აშშ-ს შემდეგ მსოფლიო ლიდერია ბავშვის აყვანის საკითხში. აქ ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ბავშვი აჰყავთ, ძირითადად ჩინეთიდან, შიდა გაშვილება ძალიან იშვიათია. მშვილებელი ოჯახი უნდა იყოს იტალიაში ლეგალურად მცხოვრები , მშვილებელი უნდ აიყოს ასევე შვილად ასაყვან ბავშვზე მინიმუმ 19 წლით დამაქსიმუმ 45 წლით უფროსი, მხოლოდ დაქორწინებულ წყვილს შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა. ამასთან, ქორწინებაში უნდა იმყოფებოდეს 3 წელი მაინც. მარტოხელა მშობელს ძალიან იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ბავშვის აყვანა, ხოლო ერთსქესიანებს ეკრძალებათ ბავშვის აყვანა. 14 წლის ასაკიდან ბავშვი თვითონ წყვეტს გაშვილდეს თუ არა, 14 წლამდე ასაკის ბავშვის აყვანისას უპირატესობა ენიჭება წყვილს, რომელსაც უკვე ჰყავს აყვანილი გასაშვილებელი ბავშვი ძმა ან და. მოცდის პერიოდს კი შეადგენს 3 წელზე მეტი დრო.[61]

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით შვილად აყვანა დასაშვებია, თუ იგი ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას. მშვილებლი მიღწეული უნდა იყოს 25 წლის ასაკს. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელი ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს სათანადო ვადის განმავლობაში. შვილად აყვანისთვის ასევე საჭიროა თანხმობა თუ ბავშვი 14 წლის ასაკს მიღწეულია, ხოლო თუ ბავშვი ქმედუუნაროა ან მას არ მიუღწევია 14 წლის ასაკს თანხმობას აცხადებს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენელი. თუ ბავშვი მიღწეულია 14 წლის ასაკს და არის ქმედუუნარო, მას ასევე შეუძლია შვილად აყვანის თანხმობის გამოთხოვა გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე და ამისთვის მას არ ჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბავშვის ერთპიროვნულად შვილად აყვანისთვის საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. შვილება არ განხორციელდება ასეთ შემთხვევაში თუ იგი ეწინააღმდეგება მეორე მეუღლისა და ოჯახის ინტერესებს. მეუღლის თანხმობა არ არის საჭირო თუ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უუნაროა, ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია.[62]

ყაზახეთი

ყაზახეთის რესპუბლიკის კოდექსის „ქორწინების (მეუღლეობის შესახებ) და ოჯახის შესახებ“ ბავშვი შეიძლება გადაყვანილ იქნას ოჯახში შვილად აყვანის, მეურვეობის ან მინდობით აღზრდისთვის. სასამართლოს შვილად აყვანა, ბავშვის გადაწყვეტილების ოჯახში საფუძველზე, რის გადაყვანის შედეგადაც იურიდიული ფორმაა წარმოიქმნება

---

61 ნ.კალანდაძე, შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2014, გვ. 6

62 http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf ;

პირადი არაქონებრივი და საკუთრების უფლება და მოვალეობები, რომლებიც უტოლდება ახლობლების უფლებებსა და მოვალეობებს. მინდობით აღზრდა არის აღზრდის ფორმა, რომლის დროსაც მშობლები (მშობლების) გარეშე დარჩენილ ბავშვებს და ბავშვებს მინდობით აღზრდაზე გადაჰყავთ ოჯახებში, ხელშეკრულებით, რომელიც ასრულებს მეურვეობის ფუნქციებს. ყაზახეთის რესპუბლიკაში დაინერგა" რესპუბლიკურ მონაცემთა ბანკი" ბავშვთა, მშობლების მოვლის გარეშე დარჩენილ ბავშვებისა და იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ბავშვების შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა მონაცემთა რეესტრი. ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია მშობლების მოვლის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე, ორგანიზაციებში. ობოლ ბავშვებსა და ბავშვებზე, რომლებიც იზრდებიან ინფორმაცია სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, პერსონაჟების თვისებების, მშობლების მოვლის არარსებობის მიზეზების შესახებ, ძმებისა და დების, ზრდასრული ნათესავების ყოფნაზე, აგრეთვე მინდობით აღზრდის პირობებში მოთავსების შესაძლო ფორმებზე. რესპუბლიკური მონაცემთა ბაზაში განთავსებული ბავშვების ოჯახები და ფოტოები. ყაზახეთის რესპუბლიკაში წყვილს არ შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა დაოჯახების გარეშე, ამავე დროს, აუცილებელია იმის ცოდნა, რომ შვილად აყვანის მშობელსა და შვილობილს შორის ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს მინიმუმ 16 წლის ასაკში. სასამართლოს მიერ მის მიერ აღიარებული მიზეზების გამო, ასაკობრივი სხვაობა შეიძლება შემცირდეს. ბავშვის შვილად აყვანისთვის აუცილებელია მისი მშობლების თანხმობა, თუ მათ არ ჩამოერთვათ მშობლის უფლებები. 16 წლამდე არასრულწლოვანი მშობლის შვილის მიღებისას აუცილებელია იურიდიული წარმომადგენლების თანხმობა. არასრულწლოვანი მშობლების კანონიერი წარმომადგენლების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაბადებისთანავე სამედიცინო დაწესებულებაში არასრულწლოვანი მშობლების მიერ მიტოვებულია და არავინ არ არის დაინტერესებული მისი ბედით 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, საჭიროა მეურვეობის ან მეურვეობის ფუნქციების შემსრულებელი ორგანოს თანხმობა. [63]

თავი IV. შვილად აყვანის პროცედურა ქართულ თანამედროვე სამართალში

4.1. გადაწყვეტილების რეგისტრაცია

თუ საქართველოს მოქალაქეს სურს, რომ ბავშვი შვილად აიყვანოს, უნდა მოახდინოს შვილად აყვანის რეგისტრაცია - მშვილებლებს (მშვილებელს) შვილად აყვანის შესახებ

[63] Усыновление ребенка в Казахстане, https://egov.kz/cms/ru/articles/child/adoption_of_a_child_in ;

განცხადება შეაქვთ სასამართლოში თავიანთი ან გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შვილად აყვანის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება, განცხადების შეტანის შემდგეგ სასმართლო მას უდავო წარმოების წესით განიხილავს, სააგენტო მას უგზავნის დასკვნას ამასთანავე სასამართლო უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა დამატებითი დოკუმენტაცია მტკიცებულებები და ა.შ. განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებული უნდა იყოს მონაცემები შვილად ასაყვანისა და მშვილებლის (მშვილებლების) შესახებ, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის. ბავშვის ინეტერესებს იცავს ასეთ შემთხვევაში სააგენტო, ამასთან ერთად აღნიშნული მიმდინარეობს უკვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. თუ სასამართლო ცნობს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება.შვილად აყვანა ძალაში შედის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შევლის მომენტიდან. რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ უპირატესობებს, ამ უპირატესობებით სარგებლობენ ის ადამიანები, რომელსაც შვილად აჰყავთ ნათესავი და ეს ნათესაური კავშირი დასტურდება დოკუმენტურად. ასეთი ნათესავების ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, განსაზღვრული და ჩამოთვლილია კანონში. ასევე უპირატესობით სარგებლობენ ის ადამიანები, ვისაც გერი აჰყავთ შვილად და ისინიც, რომლებსაც ბავშვის მიმტოვებელი დედა უთითებს, როგორც პოტენციურ მშვილებელს. გარდა ამისა, უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებთანაც ექვს თვეზე მეტხანს იცხოვრა „მინდობით აღზრდაში მყოფმა“, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე ბავშვმა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ოჯახს ბავშვის შვილად აყვანის სურვილი არ აქვს, ბავშვი შვილდება რიგის მიხედვით. ხშირად ისეც ხდება, რომ ბავშვი მოგვიანებით ავლენს ინტერესს იმ ოჯახისადმი, რომელშიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იზრდებოდა. ამიტომ, სწორედ მისი ინტერესიდან გამომდინარე, ხდება ოჯახისთვის მისი მიშვილება.

4.2. შვილად აყვანის შეწყვეტა, ბათილობის სამართლებრივი საფუძვლები

ოჯახი და ოჯახური გარემოს შექმნა ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. ისეთ ოჯახში, სადაც ჰარმონია არ სუფევს და ბავშვის მიმართ მშობლისგან უყურადღებობას და ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფას და მის მიტოვებას აქვს ადგილი. არასრულწლოვნის მიტოვებულად აღიარებას სასამართლო განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც შეუძლია ასევე მიიღოს გადაწყვეტილება

მშობლისათვის (მშობლებისათვის) მშობლის უფლება - მოვალეობების ჩამორთმევის თაობაზე.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მშობლებისა და შვილების ნათესაური კავშირის გაწყვეტის რაიმე შესაძლებლობას, გარდა მშობლის უფლების ჩამორთმევისა. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა, რის შესახებაც გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით. კანონით ამომწურავადაა დადგენილი მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძვლები. მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა), ან რომლის შვილიც მიტოვებულადაა აღიარებული, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულია ასევე იმ ბავშვის პირადი და ქონებრივი ინტერესებიც, რომლის მშობლებსაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება. მშობლის უფლება-მოვალეობა ჩამორთმეული პირი კარგავს ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და მოვალეობა. შვილი კი, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება და მოვალეობა, ინარჩუნებს ამ მშობლის მიმართ ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებს, მათ შორის, მემკვიდრეობის მიღების უფლებას. შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა ხდება ორი გზით. ესენია: შვილად აყვანის გაუქმება და შვილად აყვანის გაბათილებ .[64]

შვილად აყვანის გაუქმება ნიშნავს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო წარმოების განახლებას. შვილად აყვანის გაბათილება კი ნიშნავს მის აღიარებას ისეთ ფაქტად, რომელსაც არავითარი უფლება-მოვალეობა არავის მიმართ არ წარმოუშვია. შვილად აყვანის გაბათილება ხდება კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ლოგიკურად იწვევს შვილად აყვანის გაბათილებას. ამ გაგებით, შვილად აყვანის გაუქმება და გაბათილება თითქმის იდენტური ცნებებია. მათ სხვადასხვა საფუძვლები გააჩნიათ, ხოლო საბოლოო შედეგები ერთნაირი აქვთ. ორივე იწვევს შვილად აყვანის შეწყვეტას. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს,თუ:

1. შვილად აყვანა განხორციელდა სამოქალაქო კოდექსისა და შვილად აყვანის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

---

[64] საქართველოს კანონი „შვილად აყვანის შესახებ“- 2007წელი, 28-ე მუხლი

2. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნაშვილების ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლოს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ეს შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს. ათი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გადაწყვეტილების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ნაშვილების თანხმობით. ნაშვილების მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანახმა არიან მშვილებელი, გამშვილებელი და ნაშვილები. სხვა შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება აკრძალულია.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების სურვილის შემთხვევაში საქმე განიხილება საერთო სასარჩელო წარმოების წესით და საქმის განხილვაში მოპასუხედ უნდა ჩაებას მშვილებელი. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება იწვევს შვილად აყვანის ბათილად ცნობას. კანონით გათვალისწინებული საფუძვლები სასამართლოს უფლებას ანიჭებს და არ ავალდებულებს ბათილად ცნოს შვილად აყვანა. ნებისმიერი საფუძვლით შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, შეესაბამება თუ არა ეს ნაშვილების ინტერესებს და არის თუ არა ამაზე თანახმა ათ წელს მიღწეული ნაშვილები. შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე ორი კვირის განმავლობაში უნდა ეცნობოს სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. შვილად აყვანა ბათილად ითვლება მისი გაბათილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან კი არა, არამედ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში ყოფილ მშვილებელს მთელი ამ ხნის განმავლობაში გაწეული ხარჯები უნდა აუნაზღაურდეს. ბავშვის აღზრდაზე ნებაყოფლობით გაწეული ხარჯები იძულებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონმდებელი უშვებს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენის შესაძლებლობასაც. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის, ერთ- ერთი მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. პირისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც, თუ მას შეუსრულდა ათი წელი. ერთადერთი შემთხვევა, როცა არ დაიშვება მშობლის უფლების აღდგენა, არის როდესაც ბავშვი სხვამ იშვილა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვილად აყვანა ბათილად იქნება ცნობილი.

მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოები მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და სრულწლოვან შრომისუუნარო პირთა მიმართ მნიშვნელოვანი

დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობათა სპექტრს ფლობენ.მშობლების შემდეგ სხვა ახლო ნათესავებთან ერთად, სწორედ ისინი ცდილობენ ყველაზე მეტად ხელი შეუწყონ აღსაზრდელთა და საპატრონო პირთა ინტერესების დაცვასა და მათი უფლება-მოვალეობების განხოციელებას. თუმცა ზოგჯერ ამ მხრივ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მშობლებსა და ნათესავებზეც მაღლა დგანან. სწორედ ამიტომ კანონმა სავალდებულოდ ჩათვალა შვილად აყვანის ბათილად ცნობის საქმეთა განხილვისას, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით ხდება იგი, აუცილებელია მონაწილეობა მიიღონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. კანონის ეს მოთხოვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პასუხისმგებლობაზე ყურადღების გამახვილება კი არაა იმდენად, რამდენადაც ამ სფეროში მისი დიდი და მნიშვნელოვანი უფლებების აღიარებაა.[65]

4.3. საქართველოში შვილად აყვანის მსურველთა სტატისტიკური მონაცემები

სამწუხარო რეალობაა ის, რომ თითქმის ყოველდღე იზრდება მშვილებელთა ერთიანი რეესტრში დარეგისტრირებულ მშვილებელთა მონაცემები. კერძოდ 2009 წლიდან 2019 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით შვილად აყვანის მსურველ პირთა ერთიან რეესტრში დარეგისტრირებულია 4077 ოჯახი (წყვილი ან მხოლოდ ერთი პირი). ხოლო გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი მინიჭებული აქვს 396 ბავშვს. მათ შორის შშმპ–ს სტატუსი ან ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა აქვს 347 ბავშვს. 49 ბავშვი არის პრაქტიკულად ჯანმრთელი, რომელთაგანაც 24 ბავშვი გაშვილების წინააღმდეგია, 25 ბავშვს სურს გაშვილება. მათგან კიდევ 20 ბავშვის ასაკი არის 10–18 წლამდე, რაც ართულებს მათი გაშვილების საკითხს, 10 ბავშვის გაშვილება შეჩერებულია სხვადასხვა მიზეზის გამო .

2009 წლიდან 2019 წლამდე 11 წლის განმავლობაში საქართველოში გაშვილდა 1748 ბავშვი. მათ შორის: თბილისში–602 ბავშვი, აჭარაში–154, გურიაში– 132, იმერეთში – 258, სამეგრელო–ზემო სვანეთში – 294, რაჭა–ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში– 15, მცხეთა–მთიანეთში – 25, კახეთში –89, შიდა ქართლში – 65, ქვემო ქართლში – 84, სამცხე ჯავახეთში – 30 და უმრავლეს შემთხვევაში შვილად აყვანის მსურველ პირთა მოთხოვნაში მითითებული იყო და დღესაც გრძელდება ეს ტენდენცია სასურველი ბავშვის ასაკი 3 წელი. [66]

ფაქტობრივად გამოდის რომ ის პირები რომლებიც წლების წინ დარეგისტრირდნენ მშვილებელთა ერთიან რეესტრში უმეტესობა დღემდე ელოდება თავის რიგს უშედეგოდ, რაც იმთავითვე იმის მანიშნებელია, რომ მათი ასაკი შესაძლოა შუახნის ასაკს გადაცილებული იყოს და უმეტესობას არც კი გააჩნდეთ იმის უნარი

---

[65] საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N 2381 – IIს, 2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

[66] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო 2015 წლის 11 თებერვალი N04/8926

მცირეწლოვანი აღზარდოს და შექმნან ბავშვის განვითარებისთვის ჰარმონიული გარემო. პრობლემა, რომელიც ასე თვალნათელია დღეს საზოგადოებაში მივყავართ იქითკენ რომ სახელმწიფოს ძალისხმევა ნაკლებია აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის. საკანონმდებლო ნორმებიც ძირეულ ცვლილებას საჭიროებენ, რათა მეტად წახალისებული იქნეს შვილად აყვანა უშვილო წყვილებისთვის. საქართველოში მოქმედი შვილად აყვანის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებისაგან შედარებით საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა რიგ საკითხებს განსხვავებულად არეგულირებს და ადგენს იმ სტანდარტებს, რომელსაც მშვილებელი პირი(პირები) უნდა აკმაყოფილებდეს.

თავი V. კვლევის შედეგები

შვილად აყვანის საკითხებთან მიმართებით შიდა ნორმატიულ აქტებში ბევრი ისეთი შეზღუდვებია რაც აფერხებს საკითხის სწრაფ გადაწყვეტას ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში იმდენადაა ეს პროცესი გაწელილი, რომ აქ უკვე ცხადია ბავშვის საუკეთესო ინტერესი ირღვევა და ის საკითხი, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახში, სრულ ჰარმონიაში, უკანა პლანზე დგას. დასახვეწია შვილად აყვანის პროცედურების სამართლებრივი რეგულირება. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ შვილად აყვანისას ხდება დოკუმენტაციის შემოწმება, რამდენად აკმაყოფილებს გასაშვილებელი თუ შვილად ამყვანი შესაბამისი სტატუსის მინიჭებას, არსებობს თუ არა მონაცემები, რომლითაც დადგინდება შვილად აყვანის მსურველი პირების სოციალური, ჯანმრთელობის, ასაკობრივი, ოჯახური, ეკონომიკური თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. მშვილებლებისა და ნაშვილების მენტალური თავსებადობის საკითხი კანონმდებლობით რეგულირებული არ არის. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ბავშვის მშვილებლის ოჯახში წინასწარი განთავსების ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოს სინამდვილეში, რა შემთხვევაშიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დააკვირდება უშუალოდ თანაცხოვრების პროცესს და შეძლებს უფრო ზუსტი, ადეკვატური დასკვნების გაკეთებას, გამართლებულია ამ შემთხვევაში შვილად აყვანის ლეგიტიმაცია თუ არა. მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიოში მრავალ სახელმწიფოში დადგენილია ბავშვის სავარაუდო მშვილებლების ოჯახში წინასწარი განთავსების შემთხვევები და აღიარებულია ამ ინსტიტუტის დადებითი ეფექტი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მეტად ინფორმაციული, არგუმენტირებული და მოტივირებული დასკვნით წარსდგება სასამართლოს წინაშე შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტისას.

უმეტეს შემთხვევაში შვილების მსურველი პირები არ ფლობენ ინფორმაციას შესაძლებელია თუ არა შვილად აყვანა იმგვარად, რომ ფლობდე ინფორმაციას არა

მხოლოდ გასაშვილებელის, არამედ მისი ბიოლოგიური მშობლების თაობაზე. ვფიქრობთ, გამართლებული იქნება დაიწყოს საჯარო დისკუსია შვილად აყვანის ალტერნატიული ფორმების თაობაზე. უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია არსებობდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მონაცემები ღია და ნაწილობრივ ღია შვილად აყვანის თაობაზე, როგორც მათი უპირატესობის, ასევე ნაკლოვანების მითითებით. ჩატარდეს ტრენინგები თუნდაც მშვილებლების რეესტრში დარეგისტრირებული პირებისათვის, რომლებსაც მიეწოდებათ ზომიერი ინფორმაცია შვილად აყვანის სახეობების, პროცედურისა და მასში მონაწილე პირების თაობაზე. შვილების კონფიდენციალურობის ინტერპრეტირებული არსი და ხშირ იწვევს შემთხვევაში არასწორადაა არასრულწლოვნებთან დაკავშირებით უკანონო გარიგებების განხორციელებას. კონფიდენციალურობა იწვევს, ასევე, ამგვარი დანაშაულების მაღალატენტურობას და მათი გამოვლენა, ხშირ შემთხვევაში ხდება იმ დროს, როდესაც მტკიცებულებების მოპოვება გართულებული და ხშირად შეუძლებელიც არის. ორსულობის პერიოდში ბიოლოგიური დედისათვის გაშვილების სამართლებრივი შედეგების, მისთვის მშობლის უფლებების რეალიზების უპირატესობების ახსნა მნიშვნელოვნად შეამცირებს ახალშობილის მიტოვების შემთხვევებს. გარდა ამისა, თუ ბავშვის გაშვილების გადაწყვეტილების შეცვლა ვერ მოხერხდება, ბიოლოგიურ დედას მიეცემა შესაძლებლობა თავად მიიღოს მონაწილეობა ბავშვის პოტენციური მშვილებლების გამოვლენაში.

კანონი კატეგორიულად კრძალავს ასევე შვილად აყვანას, თუ ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ამის წინააღმდეგია, ბატონი რ. შენგელია თავის სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ მართალია ათი წლის ბავშვი სრულყოფილდ ვერც კი აცნობიერებს გაშვილების საკითხის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა გაშვილების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი აზრი, თუ იგი წინააღმდეგია, რომ გაშვილდეს მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად სასამართლო გაშვილებაზე უარყოფით გადაწყვეტილებას გამოიტანს. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაწილობრივ არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ბავშვის აზრს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ კანონში არ არსებობს დათქმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ბავშვი ანუ რამდენად ძალუძს მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. კარგია როცა ბავშვი თავად აკეთებს არჩევანს იქნეს თუ არა გაშვილებული, მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვს არ გააჩნია სათანადოდ აზროვნების უნარი და იგი აღიარებულია ქმედუუნაროდ, ან მისი ქმედუუნარობის საკითხის დადგენაზე არ მიუმართავთ სასამართლოსთვის, შესაბამისად გამოიკვეთა ის, რომ არასათანადო აზროვნების მქონე ბავშვი არაა აღიარებული ქმედუუნაროდ და ამის საფუძველზე მის მიერ მიცემულ თანხმობას ეყრდნობიან მისი გაშვილების საკითხის გადაწყვეტისას. ის, რომ ბავშვი მზრუნველობას მოკლებულია, მას სურვილიც დიდი აქვს, რომ აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, მაგრამ ის თუ რამდენად არის მზად იმისთვის, რომ თანხმობა განაცხადოს გაშვილებაზე ცალკე შეფასების საკითხია. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა შვილების პროცესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, გამოვავლინეთ და გამოვიკვლიეთ შვილად აყვანის ალტერნატიული ფორმა ,,ღია შვილად აყვანა" და აღნიშნულ კონტექსტში დადგენილ იქნა თუ რა სამართლებრივი შედეგები მოყვება შვილად აყვანის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის გაუქმებას.
ჩვენი ნაშრომით შევეცადეთ ჩაგეტარებინა პირველი საფუძვლიანი კვლევა, ღია შვილად აყვანის ინსტიტუტის საქართველოში დამკვიდრებისათვის. დასაფიქრებელია, ის საკითხიც, რამდენად არის ბავშვი ფსიქოლოგიურად მზად იმისთვის რომ მინდობით აღსაზრდელად მიმღებ ოჯახში გააგრძელოს ცხოვრება, თუ აქვთ ბავშვებს გააზრებული ის საკითხი, რომ მათ ეყოლებათ ოჯახი, რომელსაც აქვს დროებითი ხასიათი. ის რომ სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა, მინდობით აღსაზრდელად გადაცემის შემთხვევაში, რამდენად აქვს ბავშვს ზუსტად ეს ოჯახური გარემო, ხომ არ იგრძნობს თავს განცალკევებულად სწორედ იმის გამო, რომ იცის ეს დროებით ხასიათს ატარებს.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შვილად აყვანის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი კვლევაა. შევაცადეთ დეტალურად გაგვეანალიზებინა შვილად აყვანის ინსტიტუტის სხვადასხვა მიგვაჩნია, რომ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან სრულყოფს საქართველოს კანონმდებლობას და ეფექტურს გახდის შვილად აყვანის რეგულირებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. აღსანიშნავია რომ შვილად აყვანა მაღალი სოციალური ღირებულებაა და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ნორმებში ის პოზიტიური შეხედულებებიც უნდა აისახოს, რომლებმაც ხელი შეუწყეს შვილად აყვანის ინსტიტუტის დღემდე მოტანას.
საჭიროა, რომ შვილად აყვანას მეტი ყურადღება მიექცეს გამომდინარე იქიდან , რომ ამ სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი ბავშებისთვის ოჯახური გარემოს შექმნაა. ქართული კანონმდებლობის განხილვილსას გამოჩნდა, რომ საჭიროა ბავშვისთვის გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით უფრო ლიბერალური მიდგომის არსებობა, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს უფრო მეტი ბავშვი გააშვილოს და შესაბამისად, განხორციელდეს მათი ოჯახში აღზრდის უპირატესი უფლება. აქ პირველ რიგში იგულისხმება იმ შეზღუდვების მოხსნა, რაც აჭიანურებს და ხშირად შეუძლებელსაც კი ხდის ბავშვისთვის გასაშვილებლის სტატუსის მინიჭებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, არსებობს გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველ პირთა რეესტრი, მაგრამ აღნიშნული ვერ იძლევა ეფექტური მუშაობის საშუალებას, კარგი იქნება, თუ ჩამოყალიბდება ბავშვთა რეესტრი, რომლის

ინფორმაციაც, გარდა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციისა, იქნება საჯარო და სადაც ბავშვების მონაცემების ნახვა ყველა პირს შეეძლება. ამ საშუალებით, შვილების მსურველი პირები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ბავშვის შვილება სურთ იმ ბავშვებიდან, ვისაც აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. ამასთან ერთად, გაშვილების შემდეგ, ბავშვის მონაცემები რეესტრიდან ამოღებულ უნდა იქნეს, რათა არ დაირღვეს გაშვილების პროცესის და უშუალოდ გაშვილების ფაქტის კონფედენციალურობა.იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ რამდენად ჯანსაღ გარემოში იზრდება ბავშვი და შვილება შეესაბამება თუ არა მის თავდაპირველ მიზანს, აუცილებელია შეიქმნას მაკონტროლებელი მექანიზმი, რათა სახელმწიფომ გაშვილების შემდგომაც იზრუნოს ბავშვზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააკონტროლოს მშვილებლის ოჯახი.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მაკონტროლებელი ინსტიტუტი უნდა შეიქმნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიგნით, რათა შვილად აყვანის შემდგომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდეს შვილად ამყვანი ოჯახის დაკვირვება და შესწავლა, რაც ასევე უნდა აისახოს საქართველოს კანონში „ შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ".

მინდობით აღზრდი ინსტიტუტი ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელების თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს მის უარყოფით მხარეებზეც, კერძოდ, მინდობით აღზრდის დროს ბავშვი მიმღებ მშობლებთან რჩება გარკვეული დროით, ამ ვადას კი სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომელის ვადის გასვლის შემდეგაც ბენეფიციარი ტოვებს ოჯახს და ელოდება ახალ მშობლებს, რომლებიც იზრუნებენ მასზე. ცხადია, ასეთ დროს ბავშვს ვერ ექნება სრულყოფილი ოჯახური გარემოს შეგრძნება, რაც არღვევს მის უფლებას. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა სახელმწიფომ მოახდინოს ბავშვის გაშვილება და მისი უზრუნველყოფა მუდმივი მზრუნველი ოჯახით, ან ბავშვი დაუბრუნოს ბიოლოგიურ ოჯახს. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის სფეროში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული რეფორმები, განსაკუთრებით, კი გაშვილების პროცესის გამარტივება, მაგრამ ბავშვის უპირატესი უფლების განსახორციელებლად, საჭიროა კიდევ უფრო მეტი გაკეთდეს.

ბიბლიოგრაფია:

1. ჩიკვაშვილი შ. (1999) საოჯახო სამართალი. მეორე გადამუშავებული
გამოცემა. თბილისი: „მერიდიანი“.

2. რ. შენგელია, ე. შენგელია (2017) საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი - თეორია და პრაქტიკა (მეორე გამოცემა) თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

3. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2018) (2018 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით) თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.

4. ახვლედიანი ზ. (1988) მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი) თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობ ა“

5.“შვილად აყვანა ქართული სამართლის მიხედვით“ – 18.01.2012

6.“შვილების წარმოშობის დადგენა ქართულ კანონმდებლობაში“ – 29.07.2013

7. კუხიანიძე ქ. შვილად აყვანის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა ძველ რომში და მისი სამართლებრივი რეგულირება ძველ ქართულ სამართალში.

8. სამეცნიერო სტატია (2014) ფაქტობრივი ცნობა „შვილად აყვანა საზღვარგარეთის ქვეყნებში“ სტატიის ავტორი: ნინო კალანდაძე.

9. ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია (ჰააგა, 1993) XVII სესია, შემაჯამებელი აქტი (ამონაკრები).

10.„შვილად აყვანა - „ღია“ თუ „საიდუმლო“ პროცესი“ - სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ ISSN 1512 – 1305 N7 (9) -2012 გვ.93

11. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1245 (2018) წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით) თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (2000) წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.

13. ლ.იზორია,კ.კორკელია.კ.კუბლაშვილი.გ.ხუბუა(2005)\საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. თბილისი: „მერიდიანი“.

14. Веберс Я. Р., сущность усыновления и его правовйе последствия. правоведение. 1996;

15. Decision-making in foster care: A child-centered approach to reducing toxic stress in foster children.

16. Children and Youth Services Review 96, pp. 10-16. John G. Orme; Cheryl Buehler;. (2011, January).

17. United Nations. 2009. Child Adoption: Trends and Policies

19. Council of Europe. European Convention on the Adoption of Children (Revised).2008.

20. ennifer Rafeedie; Sharon M. Hudson; Alexis Deavenport-Saman ; Sheela Rao; Karen Rogers; Suzanne Roberts;. (2019).

21. ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989) 20 ნოემბერი ძალაში შევიდა 02/09/1990.

22. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობითი აღზრდის შესახებ“ (20.09.2018)

20. საქართველოს უზენაესი სასმართლო განჩინება შვილად აყვანის საკითხზე საქმე№ა-216-შ-11-2019 29 მაისი.

21. საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის თაობაზე საქმე N 2/226 23.09.2019წ.

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის ფაქტის დადასტურების თაობაზე საქმე N2/14296-18 16 დეკემბერი, 2019 წელი.

23. სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების „შვილად აყვანის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ მე - 18 მუხლის მე - 7 ნაწილი.

24. სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის 26 ივნისი; ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

25. Кузьмичева Л.А.,усыновленне по действуюшему семейному законодатеьству.паравоведение 1993;

26. Кузьмичева Л. А., усыновленне по семейному праву: автореф. Харйков, 197

27. რუდოლფ ფონ იერინგი (2000). ბრძოლა უფლებისათვის. თბილისი: “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.

28. კორკელია კონსტანტინე (2010). როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. თბილისი: GTZ.

29. ლევინი რ. ადამიანის უფლებები კითხვები და პასუხები, 1997/იუნესკო.

30. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო); https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&lang=ge

31. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, 2017;

32. გაეროს კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ, 1989;

33. ჰააგის, კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 1993;

34. ა. გუგავა, პირთა სამართალსუბიექტობა და მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი. თბ., 2005.

35. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ.1996

36. ლ. შოშიაშვილი, ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2003.

37. ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, ჟ. „სამართალი”, 2002 წ. N5-6

38. ლ. ჭიღლაშვილი, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და მარტოხელა დედათა სამართლებრივი უფლებები - ევრაზიის მულტიდისციპლინარული ფორუმი - Eurasian Multidisciplinary Forum – EMF. Tbilisi, 2015

39. ლ. ჭიღლაშვილი, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დისერტაცია, თბ. 2016

40. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებანი. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2016. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mnishvnelovani-ganmartebebi-2016.pdf

42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, საოჯახო და და მემკვიდრეობის სამართალი, 2010, №7 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf

43. Implementation Handbook for the Convention on the right of the child. Rachel Hodgkin and Peter Newell, Unicef, 2007.

44. Convention on the Rights on the Child, Committee on the Rights of the Child, Thirty-fourth session, 27 Octomber, 2003